

დავით ჩიქოვანი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიმეონ ბეთ არშამელი, „წერილი“ ბარსუმასა და ნესტორიანელთა ერესის შესახებ¹

აბსტრაქტი

სიმეონ ბეთ არშამელი V საუკუნის მიწურულისა და VI საუკუნის I ნახევრის მიაფიზიტი მოღვაწეა, რომელმაც ქალკედონის კრების შემდეგ მიაფიზიტური ეკლესიის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. სასანიანთა ირანში მოღვაწე სიმეონი აქტიურად იყო ჩართული ქრისტოლოგიურ კამათებში აღმოსავლეთის ეკლესიის წარმომადგენლებთან, რომელთაც V საუკუნის 80-იანი წლებიდან უკიდურესი დიოფიზიტური ქრისტოლოგიური დოქტრინა მიიღეს.

სწორედ ამ ვითარებაშია დაწერილი სიმეონის „წერილი“ „ბარსუმასა და ნესტორიანელთა ერესის შესახებ“. რომელშიც გადმოცემულია „ნესტორიანელობის“ ჩამოყალიბებისა და გავრცელების ისტორია. სიმეონის წერილი უმნიშვნელოვანესი წყაროა როგორც „ნესტორიანელობის“ ჩამოყალიბების და მისი სასანიანთა ირანში გავრცელების, ასევე ქართლის ეკლესიის ქრისტოლოგიის შესახებ.

„წერილი“ ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ცნობილი წყაროა და მის იმ ფრაგმენტს, რომელიც ქართლის ეკლესიას ეხება, ქართველი ისტორიკოსები აქტიურად იყენებდნენ. წყაროს დეტალურმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მისმა ფრაგმენტულმა გაგებამ უზუსტობები გამოიწვია.

სტატიაში განხილულია ის რელიგიური ვითარება, რომელიც სასანიანთა იმპერიაში იყო მეხუთე საუკუნის მიწურულსა და მეექვსე საუკუნის დასაწყისში. სტატიაში პირველად ქვეყნდება სიმეონ ბეთ არშამელის „წერილის“ სრული ქართული თარგმანი შესაბამისი გამოკვლევით.

საკვანძო სიტყვები: სიმეონ ბეთ არშამელი, მიაფიზიტიზმი, ნესტორიანიზმი, სასანიანთა ირანი, აღმოსავლეთის ეკლესია.

სიმეონ ბეთ არშამელი, ასევე ცნობილი როგორც „სპარსელი მოპაექრე“ (dorušo parsoyo), მოღვაწეობდა V საუკუნის მიწურულსა და VI საუკუნის I ნახევარში. იგი მიაფიზიტური ქრისტოლოგიის დამცველი იყო და ფილოქსენე მახუგელთან († 523 წ.), სევერუს ანტიოქიელთან († 538 წ.), იოანე ტელაელთან († 538 წ.) და იაკობ ბარადეისთან († 578 წ.) ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 451 წლის ქალკედონის კრების შემდეგ მიაფიზიტური ეკლესიის განვითარებაში.¹

¹ Simeon of Beth Arsham, “Letter on Bar Sawma and the Heresy of the Nestorians,” Trans. Aaron Michael Butts. In: The Cambridge Edition of Early Christian Writings: volume 4. Christ: Chalcedon and Beyond. Edited by Mark DelCogliano (Cambridge: Cambridge University Press, 2022), 309.

სიმეონის ცხოვრება აღწერა მისმა მოწაფემ, იოანე ეფესელმა (დაახლ. 507 - დაახლ. 588) თავის „აღმოსავლელ წმიდანთა ცხოვრებაში“. ² სიმეონის მოღვაწეობა ემთხვევა ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეპოქას.

431 წლის ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ნესტორიანელობის დაგმობის შემდეგ უკიდურესი დიოფიზიტების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად კვლავ რჩებოდა ედესაში არსებული სკოლა, რომელშიც მრავლად იყვნენ სპარსელები, რომლებიც ნესტორის მასწავლებლის, თეოდორე მოფსუესტელის ქრისტოლოგიურ შეხედულებებს იზიარებდნენ.³

ედესის ეპისკოპოს იბას (435-457) გარდაცვალების შემდეგ თეოდორე მოფსუესტელის ქრისტოლოგიის მიმდევარი სპარსელები ედესის სკოლიდან განდევნეს, მათ თავი სასანიანთა ირანს შეაფარეს და მალევე მნიშვნელოვან საეკლესიო თანამდებობებსაც დაუფლნენ (იხ. ქვემოთ). ამგვარად, თეოდორე მოფსუესტელის ქრისტოლოგია სასანიანთა ირანში გავრცელდა.

მოკლე ხანში სასანიანთა იმპერიაში არსებულ „აღმოსავლეთის ეკლესიაში“ დაიწყო განხეთქილება. აღმოსავლეთის ეკლესიის კათოლიკოს ბაბოვას (457-484) თავის მომხრეებთან ერთად დაუპირისპირდა ედესის სკოლიდან წამოსული ბარსუმა, რომელსაც უკვე ნიზიბინის საეპისკოპოსო კათედრა ეკავა და ირანის შაჰინ-შაჰის, პეროზის (459-484), მხარდაჭერითაც სარგებლობდა. 484 წლის აპრილში ბეთ ლაჰატში შედგა საეკლესიო კრება, რომელზეც ნიზიბინის მიტროპოლიტმა ბარსუმამ და მისმა მომხრეებმა დაგმეს აღმოსავლეთის ეკლესიის კათოლიკოსი ბაბოვაი. ⁴ ამასთან კრებამ აღიარა ანტიოქიის საღვთისმეტყველო სკოლის წარმომადგენლის, თეოდორე მოფსუესტელის ჰომილიებისა და კომენტარების ავტორიტეტი.⁵

მართალია, ბეთ ლაჰატის კრება არ იყო აღმოსავლეთის ეკლესიის ოფიციალური კრება და კათოლიკოსმა ბაბოვაიმ თავის მომხრეებთან ერთად ბეთ

² John of Ephesus, *Lives of the Eastern Saints*, *Patrologia Orientalis*. T. 17. (Paris: Firmin-Didot et C, Imprimeurs-Editeurs. 1923), 137-158.

³ თეოდორე მოფსუესტელი ქრისტეს ადამიანურ ბუნებას ცალკე მდგომად თვლიდა. მისი აზრით ძე ღმერთი, ღვთის სიტყვა ჩასახლდა ადამიან ქრისტეში და ქრისტემ როგორც სრულმა ადამიანმა გაიარა ეს გზა. იგი აღიარებდა მხოლოდ ერთ ქრისტეს, როგორც პიროვნებას, მაგრამ ორ უკიდურესად ცალკე მდგომ ადამიანურ და ღვთაებრივ ბუნებებს. თეოდორე არ უარყოფდა იმას, რომ მარიამი იყო იესოს დედა, ან იმას, რომ იესო იყო ღმერთი. მაგრამ თეოდორეს აზრით, მარიამი არ იყო ღმერთის დედა, რადგან ღმერთს დედა (მშობელი) არ სჭირდება, არამედ ის იყო ქრისტეს ადამიანური ბუნების და სხეულის მშობელი. რის გამოც იგი წმინდა მარიამს "Χριστοτόκος - ქრისტემშობელს" და არა "Θεοτόκος - ღვთისმშობელს" უწოდებდა.

⁴ Jean-baptiste Chabot, trans., *Synodicon orientale ou recueil de synodes nestoriens* (Paris: Imprimerie Nationale, 1902), 312, იქვე, შენ. 3; 531-532; 535-536; დავით ჩიქოვანი, *აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია IV –V საუკუნეებში (კრებათა აქტები და სხვა მასალები)* (თბილისი: კალმოსანი, 2019), 134, 141.

⁵ Chabot, *Synodicon orientale*, 475-476; Wilhelm Baum and Dietmar W. Winkler, *The Church of the East. A Concise History* (London: Routledge, 2003), 28-29; ჩიქოვანი, *აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია*, 135-137.

ლაპატის კრების მონაწილენი ეკლესიიდან განკვეთა,⁶ მაგრამ ბეთ ლაპატის კრებაზე თეოდორეს ქრისტოლოგიის აღიარება საკმარისი აღმოჩნდა სპარსეთში მცხოვრები მიაფიზიტებისთვის, რომ მათ აღმოსავლეთის ეკლესია ნესტორიანელობის ერესში ემხილებინათ, თავად სიმეონ ბეთ არშამელის სიტყვით, მათ თავი აღმოსავლეთის ეკლესიისგან გამოყოფილად გამოაცხადეს და მისი წევრები ანათემას გადასცეს.⁷

იმავე წელს, ბარსუმას ინტრიგების წყალობით, შაჰმა პეროზმა (459-484) სიკვდილით დასაჯა კათოლიკოსი ბაბოვანი. პეროზი ალბათ კათოლიკოსობას ბარსუმას უწყალობებდა, რომ არა იმავე წლის ზაფხულში პეროზის ჰეფთალეებთან ბრძოლაში დაეცემა.⁸

ახალმა შაჰმა ვალარშმა კათოლიკოსად ბაბოვანის ნათესავი და მისი მომხრე აკაკი (485-496) დანიშნა. ბარსუმა თითქმის ერთი წელი აკაკის კათოლიკოსად არ აღიარებდა, მაგრამ, შემდეგ, 485 წლის აგვისტოში, იგი იძულებული გახდა სამეფო კარისგან მხარდაჭერილი აკაკის მოწოდებაზე ბეთ ედრაიში თავის მომხრე ეპისკოპოსებთან ერთად შეხვედროდა მას, ეღიარებინა იგი კათოლიკოსად და უარი ეთქვა ბეთ ლაპატის კრების დადგენილებებზე.⁹

486 წლის თებერვალში სელეუკია-ქტეზიფონში შედგა აღმოსავლეთის ეკლესიის კრება, რომელმაც პირველი კანონით დაადგინა ქრისტეს ორი ბუნების, ღვთაებრივისა და კაცობრივის აღიარება, რომელიც შეურევნელად და შეურწყმელად, ამავე დროს სრულყოფილად და ურღვევად არის შეერთებული. კრებამ ანათემას გადასცა ყველა, ვინც ამ დადგენილებას არ იზიარებდა.¹⁰ ამასთან ქრისტეს პიროვნების ერთიანობასთან დაკავშირებით კრებამ გამოიყენა ტერმინი “Parsopa” (παρσῶπον), რომლის ქრისტოლოგიაში დამკვიდრებაც დაკავშირებულია თეოდორე მოფსუესტელისა და ნესტორის სახელთან.¹¹

იოანე ეფესელის ცნობით, ქრისტოლოგიურ უთანხმოებასთან ერთად, დაპირისპირების მიზეზი ისიც იყო, რომ „აღმოსავლეთის ეკლესიის“ წევრებმა საკუთარი თავი წარმოაჩინეს ნაციონალურ ქრისტიანულ ეკლესიად, ხოლო მიაფიზიტები - მოღალატეებად, რადგანაც მათი რწმენა რომაელთა რწმენასთან იყო თანხმობაში: *“მთავარი ქალაქების ნესტორიანი ეპისკოპოსები შეიკრიბნენ და სპარსელთა მეფეს აუწყეს იმ ქვეყანაში მცხოვრები მორწმუნეების შესახებ და უთხრეს: „ეს ადამიანები თქვენი უდიდებულესობის მოღალატეები არიან... რადგანაც მათი რწმენაც და რიტუალებიც ემთხვევა რომაელებისას“. მოგვებმა*

⁶ Addai Scher, trans., *Histoire Nestorienne (Chronique de Séert, seconde partie, fasc. I)*, *Patrologia Orientalis*. T. 7 (Paris: Firmin-Didot et Cie, 1911), 100; ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 141.

⁷ Adam H. Becker, “The Letter of the Blessed Mār Shem’on of Bêt Arsham.” In: *Sources for the History of the School of Nisibis Translated with an introduction and notes by Adam H. Becker*, (Liverpool: Liverpool University Press, 2008), 37-38.

⁸ ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 140-141.

⁹ ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 143-147.

¹⁰ Chabot, *Synodicon orientale*, 301-302; ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 161-162.

¹¹ Chabot, *Synodicon orientale*, 303, შენ.1; ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 162, შენ. 415.

დაუჯერეს მათ, ხოლო მან [სპარსელთა მეფემ] ბრძანა მართლმადიდებელთა დევნა მთელს მის სამეფოში”.¹²

ჰაგიოგრაფის ცნობით, ამ ვითარებაში სიმეონ ბეთ არშამელმა საკუთარ თავზე აიღო სპარსელი მიაფიზიტებისთვის მშვიდობის მოპოვებისთვის ღვაწლი - იგი დახმარების სათხოვნელად ჩავიდა აღმოსავლეთ რომის იმპერატორ ანასტასიუსთან (491-518), საიდანაც შაჰს იმპერატორის წერილი ჩამოუტანა. ანასტასიუსი სწერდა ირანის შაჰს: „კეთილად იქმნ, უკეთუ ბრძანებ, რომ შენი მმართველობისას შენს სამეფოში მშვიდობა სუფევდეს. და ამ საკითხში გაგვახარებ და გვასიამოვნებ - თუ თქვენი ბრძანება თქვენი სამფლობელოს ქრისტიან ხალხებს უსაფრთხოდ დაიცავს, როდესაც ბრძანებთ, რომ მათ ერთმანეთი არ დააზიანონ მტრობის გამო, და ნურც თქვენი ხალხი (ე.ი. მაზდეანები) შეაწყუბონ მათ“.¹³

ანასტასიუსის თხოვნამ გაჭრა და ირანის შაჰმა „გაცა ბრძანება, რომ ქრისტიანთაგან ნურავინ დააზიანებდა საკუთარ მეზობელს. ამიერიდან ერეტიკოსთა ხრიკები უშედეგო გახდა და მორწმუნეთა ჯგუფი თავისუფლებით სარგებლობდა“.¹⁴ რის შემდეგაც სიმეონი დაუცხრომელ პაექრობას ეწეოდა ერეტიკოსებთან და მათ მეთაურებთან.

სიმეონის ბიოგრაფის ცნობით, ამ ამბებიდან მალევე კათოლიკოსმა ბაბაიმ (497-503) 5 მიაფიზიტი ეპისკოპოსი მოიწვია სარწმუნოების საკითხებზე საპაექროდ, რომელთაც თან გაიყოლეს სიმეონი, უკვე ცნობილი მოპაექრე. შეხვედრა შედგა არზუნიში, სიირთის ახლოს, ნიზიბინის პროვინციაში. ნიზიბინისვე მარზპანის თანდასწრებით, რომელიც არბიტრის როლს ითავსებდა. იოანე ეფესელის ცნობით კამათი სიმეონის ტრიუმფით დასრულდა. რის გამოც იგი ბეთ არშამის ეპისკოპოსად დანიშნეს.¹⁵ ბეთ არშამის ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია, მე-13 საუკუნის სირიელი ავტორი და სირიის მართლმადიდებელი ეკლესიის მაფრიანი, გრიგოლ ბარ ებრაია (Gregory Bar Hebraeus - 1226-1286) ბეთ არშამს „სელევკიის ახლოს მდებარე სოფლად“ მოიხსენიებს,¹⁶ ხოლო მ. დე სენ-მარტენის აზრით, იგი უნდა იყოს არშამოსატა IV არმენიაში.¹⁷

მიაფიზიტების გაძლიერებამ შეაშფოთა „ნესტორის მიმდევრები“ (იოანე ეფესელი ასე უწოდებს „აღმოსავლეთის ეკლესიის“ წარმომადგენლებს), რომელთა ბრალდებების გამო შაჰმა „ბრძანება გაცა დაეკატიმრებინათ ყველა მორწმუნე ეპისკოპოსი (ე.ი. მიაფიზიტები) და ასევე ყველა არქიმანდრიტი და შეუმწყვდიათ [ისინი] ნისიბინის სატუსაღოში“, საიდანაც 7-წლიანი ტყვეობის შემდეგ, ეთიოპიის ქრისტიანი მეფის შუამდგომლობით განთავისუფლდნენ.¹⁸

¹² John of Ephesus, Lives of the Eastern Saints, 142.

¹³ John of Ephesus, Lives of the Eastern Saints, 143.

¹⁴ John of Ephesus, Lives of the Eastern Saints, 143.

¹⁵ John of Ephesus, Lives of the Eastern Saints, 143-152; ამ ვერსიას იმეორებს მიქაელ სირიელი, Jean-Baptiste Chabot, trans., Chronique de Michel le Syrien, t. 2. (Paris: E. Leroux, 1901), 165-167.

¹⁶ Bar Hebraeus, The Ecclesiastical Chronicle, trans, David Wilmshurst (Piscataway: Gorgias Press, 2015), 334.

¹⁷ Charles le Beau, Histoire du Bas-Empire. Tome VII. (Paris: F. Didot, 1827), 265, შენ.1.

¹⁸ John of Ephesus, Lives of the Eastern Saints, 152-153.

„სიმეონის ცხოვრების“ მიხედვით, მალევე „ნესტორიანელებმა“ კიდევ ერთი ბრალდება შეთხზეს მიაფიზიტების წინააღმდეგ, ისინი ამტკიცებდნენ: „ჩვენს ხალხს უყვრია [იგივე] რწმენა, [რაც გავრცელებულია] ყველა ქრისტიანს შორის და ყოველ სამეფოში“.¹⁹

ამ ცნობის სისწორეს ამტკიცებს თავად ამ ამბების მონაწილე მიაფიზიტთა მონაყოლიც, რომლის მიხედვითაც „ნესტორიანელები“ თავიანთ პოზიციას შაჰის წინაშე იმით იმყარებდნენ, რომ „ბერძნებს, სომხებს, ქართველებს და ალბანელებს იგივე სჯული და სარწმუნოება აქვთ, რაც ჩვენა გვაქვსო“.²⁰

სიმეონი სამეფო კარზე მივიდა და ცდილობდა „ნესტორიანელების“ მიერ შექმნილი შეხედულების უარყოფას. საბოლოოდ დაპირისპირებულმა მხარეებმა ასეთი ნებართვა მიიღეს: „თქვენგან ვისაც სურს, ეძლევა ნებართვა, რათა წავიდეს და შემოიაროს ქრისტიანი ხალხების მეფეები, ეპისკოპოსთა მეთაურები და დიდებულები, მოგვითხროს მათი რწმენა და მათი ბეჭდები, რათა გავიგოთ თქვენს შორის რომელი მხარე საუბრობს სწორად და ჩვენებს მეტ სიზუსტეს“.²¹

იგივეს გვამცნობს გრიგოლ ბარ ებრაია, მისი ცნობით, „ამ დროს იყო ვინმე მღვდელი, სახელად სიმეონი, ბეთ არმამიდან, სელევკიის მახლობელი სოფლიდან, მორწმუნე მართლმადიდებელი. როდესაც ის მიხვდა, თუ როგორ აზროვნებდა კავადი, მივიდა მასთან და მოიპოვა მისი ნებართვა, რათა მოეარა სრულიად სენაარი და სპარსეთი, რათა გაემხნეებინა მართლმადიდებლები, რომ თავისუფლად მეკრებილიყვნენ და მოეგერიებინათ ნესტორიანელთა თავდასხმა“.²²

იოანე ეფესელი სიმეონის მოგზაურობის არარეალურ მამულებს გვთავაზობს: „[სიმეონი] გაემგზავრა და მოიარა ყველა ქვეყანა, სადაც ქრისტეს ქადაგებამ ფეხი მოიკიდა, აღმოსავლეთში, ჩრდილოეთში და სამხრეთში, სადაც იყო ხალხები და სამეფოები, რომლებშიც სახარების ქადაგებამ შეაღწია“.²³

მიხეილ სირიელი სიმეონის მოგზაურობის კონკრეტულ არეალს არ გვთავაზობს,²⁴ სამაგიეროდ, ამ მოგზაურობის არეალს უფრო რეალისტურად აღწერს ბარ ებრაია: „იგი გაემგზავრა და წერილობითი დადგენილება წამოიღო ბერძენთაგან, სომეხთა და სირიელთაგან, რომ ისინი არ იზიარებდნენ ნესტორის მოძღვრებას“.²⁵

სწორედ ამ მოგზაურობის ერთ-ერთ მონაკვეთს ასახავს ბაბგენ სომეხთა კათოლიკოსის (490-516) წერილი სპარსელი ქრისტიანებისადმი, რომელშიც იგი წერს: „კავატ მეფეთ მეფის მეთვრამეტე წელს, როდესაც მე, ბაბგენ, თავი სომეხთა ეპისკოპოსებისა, ყველა ეპისკოპოსით, ბერითა და ნახარარით შევიკრიბეთ აირარატის გავარში, სომეხთა ქვეყნის ოსტანში, ქალაქ დვინში, გვახლნენ ვინმე კაცნი, რომლებმაც თავი გაგვაცნეს როგორც მოსულებმა მაგ მხარიდან - ტესბონიდან [ქტუზიფონიდან - დ.ჩ.], გარმიკანიდან [ბეთ გარმაი - დ. ჩ] და

¹⁹ John of Ephesus, *Lives of the Eastern Saints*, 153.

²⁰ ზაზა ალექსიძე, „მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის.“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე: ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია N3 (1973), 149.

²¹ John of Ephesus, *Lives of the Eastern Saints*, 153-154.

²² Bar Hebraeus, *The Ecclesiastical Chronicle*, 334.

²³ John of Ephesus, *Lives of the Eastern Saints*, 155.

²⁴ Chabot, *Chronique*, 167.

²⁵ Bar Hebraeus, *The Ecclesiastical Chronicle*, 334.

ვეპრტაშირ [ვერ-არდაშირი - დ.ჩ.] ნაჰანგიდან. გვაცნობეს თავიანთი ჭეშმარიტი სახელები და საცხოვრებელი ადგილები: სამუიელ მაჰარძის მონასტრის ხუცესი კარმიკანის ნაჰანგიდან, შმაჰონ ბერდომძას ხუცესი, ხუცესი ახა ტაჭიკთა ქალაქ პეროზ-შაჰუჰიდან, ვეპრტაშირის ნაჰანგიდან, მარა მწიგნობარი და სხვა მათ ამხანაგები“.²⁶

ე. ტერ-მინასიანმა დაამტკიცა, რომ ბაბგენ კათოლიკოსის წერილში ნახსენები „შმაჰონ ბერდომძას ხუცესი“ (Շմախոն Բերդոմազ Խիւց) და სიმეონ ბეთ არშამელი ერთი და იგივე პიროვნებაა.²⁷ შესაბამისად, იოანე ეფესელისა და ბარ ებრაიას ცნობა სიმეონ ბეთ არშამელის მოგზაურობის შესახებ სინამდვილეს შეესაბამება და იგი 506 წელს მიაფიზიტთა დელეგაციასთან ერთად სომხეთში ჩასულა. ბაბგენ კათოლიკოსის წერილის თანახმად, „[ისინი] წარუდგნენ კრებას ყველას წინაშე წიგნით ხელში, რომლითაც აღიარებდნენ წრფელ სარწმუნოებას, დიდად გარჯილნი წმიდა სამების ჭეშმარიტი და მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმოჩენაში. ამისათვის მიიღეს ნებართვა, კვატ მეფეთა მეფის ხელმწიფური ჰროარტაკი, რომლითაც უფლება მიეცათ, ნებისა და ქრისტიანობის ჭეშმარიტების გამოძიების მიხედვით, განიმტკიცონ თავისი სარწმუნოება ბერძენთა, სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა ქვეყნების სჯულისა და მეცნიერების თანახმად“.²⁸

სიმეონ ბეთ არშამელი უნდა იგულისხმებოდეს არსენი საფარელის ცნობაში, რომელიც ირანის შაჰის მიერ სომხებისთვის გაგზავნილ „ბოროტ მოძღვრებს“ შორის ასახელებს „სვიმონ ბოროტს“: „მეფე დაჯერებულ იქმნა და მოუვლინა მოძღუარნი იაკობნი ბოროტნი ცხრანი, ვითარცა მელნი მცბიერნი, ვითარცა თქუა სიბრძნეჲმან ღმრთისამან სოლომონის მიერ. და მათ განრყუნეს [ქუყანაჲ] სომხითისაჲ, შრომილი წმიდისა გრიგოლისი, მრავლითა ღუაწლითა და ცრემლითა მისითა მორწყული. რომელთა სახელები ესე არს: აბდიშოჲ, ჰეტროზ მკაწრველი, სჰმონ ბოროტი...“.²⁹ ზაზა ალექსიძის აზრით, რაკიდა სიმეონი „მეტად მკაცრი და ენერგიული მოკამათე იყო მთელი წინა აზიის მასშტაბით, შეიძლება ამიტომ შეერქვა ანტიმონოფიზიტურ წრეებში მეტ სახელად „ბოროტი“.“³⁰

ქართველებმა, სომხებმა და ალბანელებმა თავიანთ ენებზე დაწერილ წერილში განმარტეს თავიანთი სარწმუნოება.³¹ ქართველთა და ალბანელთა წერილები შემორჩენილი არაა,³² ამიტომაც მათზე მთაბეჭდილების შექმნა სომეხთა წერილის მიხედვით გვიწევს. რომელიც გვამცნობს, რომ ქართველებმა, სომხებმა და ალბანელებმა დაუდასტურეს ჩამოსულთ, რომ თეოდორესა და

²⁶ Գիրք թղթոց: մատենագրութիւնն Տաթևի (Թիֆլիս: Տպարան S. Ռոսիսեանց եւ Շապահէ, 1901), 42. თარგმანი მოგვყავს: ალექსიძე, მასალები ღვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, 147.

²⁷ არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ (თბილისი: მეცნიერება, 1980), 108.

²⁸ ალექსიძე, მასალები ღვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, 147.

²⁹ არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, 80.

³⁰ არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, 108.

³¹ ალექსიძე, მასალები ღვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, 152.

³² ისინი აღრევე უნდა დაკარგულიყო, რადგანაც ბარ ებრაია, რომლის ცნობითაც ეს წერილები ტაგრიტში ინახებოდა, მხოლოდ ბერძენთა, სირიელთა და სომეხთა წერილებს ასახელებს Bar Hebraeus, The Ecclesiastical Chronicle, 334.

ნესტორის სწავლება „არც შეუწყნარებიათ, არც შეიწყნარებდნენ და არც ეზიარებოდნენ, არამედ - შეაჩვენებდნენ“.³³ მაგრამ, ამიერკავკასიის ხალხთა აღმსარებლობის დამადასტურებელმა წერილებმა „ნესტორიანელებზე“ გავლენა ვერ მოახდინა და მათ ხელახლა განუახლებიათ სპარსეთში მცხოვრები მიაფიზიტების დევნა, ამიტომაც სიმეონ ბეთ არშამელი, რომელსაც კათოლიკოსი ბაბგენი უკვე „სიმონ ხუცესად“ (Սիմոն Խուցեց) მოიხსენიებს,³⁴ მეორედ ჩასულა სომხეთში.³⁵ კათოლიკოსი ბაბგენი სიმეონს “შრომისმოყვარესა” (աշխատասեր) და “სარწმუნოების ძიებაში ნიადაგ დაუცხრომელს” (անծանծիրյա յամենայն ժամ ի խնդեր Հաւատոյ) უწოდებს.³⁶

ამჯერად სომხებმა არა მხოლოდ ნესტორი და დიოდორე, არამედ სპარსელი „ნესტორიანელებიც“ შეაჩვენეს: „*ვწყევლით ნესტორ/იოსს, არიოსს, თეოდოროსს, დევოდოროსს, თეოდორიტოსს, ევტიქოსს, ჰავლოს სამოსატელს, იბას, აკაკის, ბარწუმეს, ბაბეს, ვინც სპარსთა ქვეყანაშია. მათ სჯულსა და სარწმუნოებას, სიმწრის ძირკვებს ზემოთ ამოზრდილთ, რომელთაც მრავალი შეავიწროვეს და გამოდევნეს ქმმარიტებიდან მათგან ნამუშაკვეი თესლის ღვარძლით*“.³⁷

ბარ ებრაიას ცნობით, “*მან [სიმეონმა - დ.ჩ.] შემდეგ [სარწმუნოების] გადმოცემა წარუდგინა მეფეს, რომელმაც დაადასტურა ისინი საკუთარი სამეფო ბეჭდით. აღმსარებლობის ეს წიგნები, როგორც მათ ეწოდებათ, ინახება ტაგრიტში, ერთადერთ ქალაქში, რომელიც გადაურჩა ბარსუმას გახრწნილებას*“.³⁸

შესაძლოა, სწორედ ამ მოგზაურობის შემდეგ არის დაწერილი სიმეონ ბეთ არშამელის „წერილი“, რომელიც ნესტორიანელობის წარმოშობას და სპარსეთში მის გავრცელებას ეხება. იგი შენახულია ერთადერთ, Ms Vatican Syriac 135 - უთარილო, სავარაუდოდ VII ან VIII საუკუნის ხელნაწერში³⁹ და მოიცავს ამ ხელნაწერის 24r1-27r1 ფურცლებს.⁴⁰

უცნობია, თავდაპირველად ეს ტექსტი იყო თუ არა წერილი, თავად ტექსტის სათაურიც საეჭვოა. იგი იწყება შესავლის გარეშე და არანაირი მითითება არ აქვს ადრესატზე. ტექსტს არ აქვს არც ეპისტოლარული დასასრული.⁴¹

„წერილის“ დაწერის ზუსტი დრო უცნობია,⁴² ა. დე ჰალეუქსი (André de Halleux - 1929–1994) თვლიდა, რომ წერილში იმპერატორ ანასტასის (491-518) „ნეტარად“ მოხსენება უნდა მიუთითებდეს „წერილის“ რედაქტირებაზე იმპერატორ ანასტასიუსის გარდაცვალების შემდეგ (518 წ.), ხოლო „წერილის“ მსგავსებამ დვინის კრების (505/506 წ.) აქტებთან ჰალეუქსს უბიძგა, „წერილის“ შედგენა

³³ ალექსიძე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, 149.

³⁴ Գիրք թղթոց, 48.

³⁵ Գիրք թղթոց, 48; ალექსიძე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, 150.

³⁶ Գիրք թղթոց, 48; ალექსიძე, მასალები დვინის კრების ისტორიისათვის, 150.

³⁷ ალექსიძე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, 152.

³⁸ Bar Hebraeus, The Ecclesiastical Chronicle, 334.

³⁹ Becker, The Letter of the Blessed Mār Shem’ōn, 21, 23.

⁴⁰ Vat. sir. 135, 24r1-27r1.

⁴¹ Becker, The Letter of the Blessed Mār Shem’ōn, 23.

⁴² Theresia Hainthaler, “Der persische Disputator Simeon von Bet Aršam und seine antinestorianische Positionsbestimmung” in: Alois Grillmeier, Jesus der Christus im Glauben der Kirche. Band 2/3. Die Kirchen von Jerusalem und Antiochien nach 451 bis 600 (Freiburg: Verlag Herder, 2002), 265.

კრების პერიოდზე გადაეტანა. ჰალეუქსი თვლიდა, რომ სიმეონს შესაძლოა „წერილის“ დაწერა შთააგონა ფილოქსენე მაბოგელის მეორე წერილმა ბეთ გოგალის ბერებისადმი.⁴³

ადამ ბეკერი (A. H. Becker – 1972) თვლის, რომ მხოლოდ ანასტასიუსის მოხსენების საფუძველზე „წერილის“ დათარიღება მისი სიცოცხლის ხანით არ არის მართებული, რადგანაც, შესაძლოა, სიმეონ ბეთ არშამელის მიერ იმპერატორ იუსტინესა (518-527) და იუსტინიანეს (527-565) მოუხსენებლობა იმით იყოს გამოწვეული, რომ ისინი ანტიმიაფიზიტები და ქალკედონიტები იყვნენ.⁴⁴ იგი არ ემხრობა „წერილის“ დათარიღებას არც მასში მოხსენებული სხვა პირების მიხედვით (ბაბაი, ფილოქსენე მაბოგელი), რადგანაც თვლის, რომ ეს ინტერპრეტაციის საკითხია.⁴⁵ იგი „წერილს“ ზოგადად, 505 - დაახლ.540 წლებით ათარიღებს.⁴⁶

„წერილი“ უმნიშვნელოვანესი წყაროა ედესის „სპარსელთა სკოლის“ და სასანიანთა ირანის ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის შესასწავლად. ტექსტი, რომელიც შედგენილია თავისი პოლემიკური უნარებით ცნობილი ავტორის მიერ, ფაქტობრივად წარმოადგენს ერესიოლოგიური ლიტერატურის შემოქმედებითი ოსტატობის სახელმძღვანელოს. სიმეონის „წერილის“ ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი არის გენეალოგიური ხის გამოყენება, რომლის მეშვეობითაც ავტორი აჩვენებს, რომ მისი თანამედროვე „ერეტიკოსები“ იმ ბოროტი მოაზროვნეების იდეოლოგიური შთამომავლები არიან, რომელთა რიგი ქრისტეს დრომდე გრძელდება.

სიმეონი აღწერს „ნესტორიანელობის“ გავრცელებას სასანიანთა ირანში, მაგრამ ეს არ ასახავს რაიმე სიახლეს აღმოსავლეთის ეკლესიის თეოლოგიაში, რადგანაც, როგორც ჩანს, აღმოსავლეთის ეკლესიას საკმაოდ დიდი ხნის კავშირი ჰქონდა იმ თეოლოგიასთან, რომელიც შეცდომით „ნესტორიანულად“ არის სახელდებული. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ადრეული ქრისტიანობის გავრცელება ჯერ პართიის და შემდეგ სასანიანთა იმპერიაში ნაწილობრივ ანტიოქიის გავლით მოხდა. ანტიოქიური თეოლოგია იყო ის, რასაც „ნესტორიანელობა“ ეწოდა. „წერილი“ ადასტურებს კავშირს ანტიოქიური თეოლოგიის მიმდევარ ედესის სპარსელთა სკოლასა და ახლად დაარსებულ ნიზიბინის სკოლას შორის.

აღნიშნულ ტექსტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისთვისაც, ვინაიდან მასში მოიპოვება უმნიშვნელოვანესი ცნობა VI საუკუნის დამდეგის ქართლის ეკლესიის ქრისტოლოგიის შესახებ. სიმეონ ბეთ არშამელის ცნობა ქართლის სამეფოს სარწმუნოებრივი ვითარების შესახებ დიდი

⁴³ André de Halleux, Philoxène de Mabbog: sa vie, ses écrits, sa théologie, (Louvain: Imprimerie Orientaliste : 1963), 4. შენ. 9.

⁴⁴ Becker, The Letter of the Blessed Mār Shem’ōn, 23.

⁴⁵ Becker, The Letter of the Blessed Mār Shem’ōn, 23.

⁴⁶ Adam H. Becker, Fear of God and the Beginning of Wisdom: The School of Nisibis and the Development of Scholastic Culture in Late Antique Mesopotamia (Philadelphia: University of Pennsylvania Press, 2006), 46.

ხანია ცნობილია. იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში ივანე ჯავახიშვილმა შემოიტანა⁴⁷ და მას შემდეგ არაერთმა ქართველმა მეცნიერმა განიხილა.⁴⁸

სწორედ წყაროს მნიშვნელობამ განაპირობა ჩვენი დაინტერესება აღნიშნული ტექსტით. როგორც წყაროს შესწავლამ დაგვარწმუნა, აღნიშნულ ქართველ მეცნიერებს მხოლოდ ერთ ფრაგმენტთან ჰქონდათ შეხება და მათთვის მთლიანი ტექსტი შეუსწავლელი დარჩა, ამან კი გამოიწვია უზუსტობები მათ დასკვნებში.⁴⁹ ესეც იქცა ერთ-ერთ დამატებით მიზეზად, რის გამოც გადაწყვიტეთ აღნიშნული წყაროს სრული თარგმანის გამოქვეყნება.

ტექსტი პირველად გამოსცა და ლათინური თარგმანიც დაურთო ლიბანელმა აღმოსავლეთმცოდნემ ჯუზეპე სიმონე ასემანიმ (Giuseppe Simone Assemani – 1687 – 1768).⁵⁰ დღეისთვის მოგვეპოვება მისი რამდენიმე თარგმანი ევროპულ ენებზე. იგი ფრანგულად თარგმნა სომხური წარმოშობის ამერიკელმა ისტორიკოსმა ნინა გარსოიანმა (Nina G. Garsoïan - 1923 – 2022) და დამატების სახით დაურთო თავის უმნიშვნელოვანეს გამოკვლევას „სომხეთის ეკლესია და აღმოსავლეთის დიდი სქიზმა“ („L'Église arménienne et le grand schisme d'Orient“).⁵¹ სიმეონ ბეთ არშამელის „წერილი“ დეტალურად შეისწავლა და ტექსტის დიდი ნაწილის გერმანული თარგმანი გამოსცა გერმანელმა თეოლოგმა თერესია ჰაინთალერმა (Theresia Hainthaler – 1947).⁵² ინგლისურ ენაზე არსებობს აღნიშნული ტექსტის ორი თარგმანი, ერთი ეკუთვნის ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორს, ადამ ბეკერს (Adam H. Becker – 1972),⁵³ ხოლო მეორე - ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორს აარონ ბატსის (Aaron Michael Butts – 1981).⁵⁴

ქვემოთ მოგვაქვს ტექსტის სრული თარგმანი:

⁴⁷ ივანე ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. I. (თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1951), 301-302.

⁴⁸ მიქელ თარხნიშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაბამიდან მე-7 საუკუნის დასასრულამდე, (თბილისი: უნივერსალი, 2014), 256; ალექსიძე, მასალები ღვინის კრებისთვის, 162; გიორგი მამულია, ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში (თბილისი: მეცნიერება, 1992), 50; მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (თბილისი: ალილო, 2009), 343.

⁴⁹ დავით ჩიქოვანი, „სიმეონ ბეთ არშამელი ქართლის ეკლესიის ქრისტოლოგიის შესახებ“ (სტატია წარდგენილი საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“, თბილისი, 8-10 ნოემბერი, 2022 წელი).

⁵⁰ Joseph Simonius Assemanus, *Bibliotheca orientalis clementino-vaticana in qua manuscriptos codices syriacos, arabicos, persicos, turcicos, hebraicos, samaritanos, armenicos, aethiopicos, graecos, aegyptiacos, ibericos et malabricos, jussu et munificentia Clementis XI. pontificis maximi ex oriente conquisitos, comparatos, avectos, Bibliothecae Vaticanae addictos: De scriptoribus Syris orthodoxis. Tomus primus, Volume 1.* (Rome: Typis Sacrae Congregationis de Propaganda Fide, 1719), 346-358.

⁵¹ Nina Garsoïan, *L'Église arménienne et le Grand schisme d'Orient* (Louvain: Peeters, 1999), 450-456.

⁵² Hainthaler, „Der persische Disputator,” 262-278.

⁵³ Becker, *The Letter of the Blessed Mār Shemʿon of Bêt Arsham*, 25-39.

⁵⁴ Simeon of Beth Arsham, *Letter on Bar Šawmā*, 310-316.

„[24r1] (346) ⁵⁵ ნეტარი უფლის⁵⁶, ბეთ არშამის⁵⁷ ეპისკოპოს სიმეონის წერილი, რომელიც მან დაწერა ნესტორიანელთა⁵⁸ მწვალებლობისა⁵⁹ და ბარსუმას შესახებ, რომელიც გვიჩვენებს საიდან წარმოიშვა და როდიდან შემოადგია მან სპარსელთა მიწაზე

ისევე, როგორც ჩვენი, ქრისტიანების, ქეშმარიტი რწმენა დაიწყო აბრაამ მამამთავრისგან, ღვთისგან მოცემული დაპირების მეშვეობით - „შენს მთამომავლობაში იკურთხებიან ერები“⁶⁰ - როგორც დაწერილია, ის არის ცხებული⁶¹ - და აბრაამის ქეშმარიტი რწმენის მეშვეობით - მას ეწოდა მამა ყველა ერისა, რომელთა შორისაც ჩვენც ვართ.⁶² - ამგვარადვე, ნესტორიანელთა ცთომილება დაიწყო ანადან⁶³ და კაიაფადან,⁶⁴ მღვდელთმთავრებიდან, იმ დროის დანარჩენ ებრაელებთან ერთად. ეს ებრაელები ფიქრობდნენ, რომ ქრისტე იყო ადამიანი, როგორც მათ უთხრეს მას (ქრისტეს - დ.ჩ.) : „შენ ღმერთს გმოხ, ადამიანი [ხარ და] საკუთარ თავს ღმერთად აცხადებ“. ⁶⁵ ეს [შეხედულება] გადმოცემული იყო [24r2] იმდროინდელი ებრაელებისგან. ზოგი მას ადამიანს უწოდებდა, სხვები - მართალ კაცს, წინასწარმეტყველს, კეთილ მასწავლებელს და ისრაელის მეფეს (347). ხოლო სხვები მას უწოდებდნენ ბელაშებელს, ეშმაკთა მთავარს,⁶⁶ სამარიტელს,⁶⁷ ღვთისმგმობელსა და კანონის დამრღვევს. ამგვარად,

⁵⁵ ჩვენ ვუთითებთ როგორც სირიული ხელნაწერის გვერდებს (კვადრატულ ფორმებში) ისე ასემაწის გამოცემის გვერდებს.

⁵⁶ Syr. Mār(y) - უფალი.

⁵⁷ ხელნაწერი შერყვნილია, კერძოდ მასში მოცემულია rsem Aleph-ის გარეშე, მოკლე e ხმოვნით ო-სა და m-ს შორის (Vat. sir. 135. 24r1).

⁵⁸ Syr. Nesturyānē (Vat. sir. 135. 24r1).

⁵⁹ Syr. Heresis (Vat. sir. 135. 24r1), ბერძნული haíresis (αἵρεσις)-დან.

⁶⁰ „იკურთხეოდნენ შენდა მომართ და ნათესავისა შენისა მომართ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი“ - დაბადება 22.18; „რამეთუ წინაწარ იცოდა წიგნმან, ვითარმედ სარწმუნოებითა განამართლებს წარმართთა ღმერთი, წინაწარ ახარა აბრაჰამს, ვითარმედ: შენდამი იკურთხეოდნენ ყოველნი წარმართნი“ - გალ. 3:8.

⁶¹ სირ. Mshihā (Vat. sir. 135. 24r1) - მესია, ქრისტე.

⁶² „ვითარცა აბრაჰამს ჰრწმენა ღმერთი და შეერაცხა მას სიმართლედ. უწყით-მეა, რამეთუ სარწმუნოებისაგანნი იგი არიან შვილნი აბრაჰამისნი? რამეთუ წინაწარ იცოდა წიგნმან, ვითარმედ სარწმუნოებითა განამართლებს წარმართთა ღმერთი, წინაწარ ახარა აბრაჰამს, ვითარმედ: შენდამი იკურთხეოდნენ ყოველნი წარმართნი. აჲ უკუე სარწმუნოებისაგანნი იგი იკურთხევიან მორწმუნისა მის აბრაჰამის თანა.“ - გალ. 3:6-9.

⁶³ ანა - ებრაელთა მღვდელთმთავარი 6-15 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს ჯვარცმის დროს იგი ოფიციალურად არ იყო მღვდელთმთავარი, სახარებიდან ჩანს, რომ იგი კვლავ იწოდებოდა მღვდელთმთავრად და ჯერ კიდევ ჰქონდა დიდი გავლენა. გეთსამანიის ბაღში შეპყრობის შემდეგ სწორედ მასთან მიიყვანეს ქრისტე, რომელმაც იგი დაჰკითხა (იოანე: 18:12-23).

⁶⁴ კაიაფა - იოსებ კაიაფა, ებრაელთა მღვდელთმთავარი 18-36 წლებში. იგი იყო მღვდელთმთავარ ანას სიძე (იოანე, 18: 13), დიდი როლი ითამაშა ქრისტეს ჯვარცმაში.

⁶⁵ „მიუგეს ჰურიათა და ჰრქუეს მას: კეთილისა საქმისათჳს ქჳსა არა დაგკრებთ შენ, არამედ გმოხისათჳს, და რამეთუ კაცი ხარ შენ და გიყოფიეს თავი შენი ღმერთ“ - იოანე 10.33.

⁶⁶ „ხოლო ფარისეველთა მათ ვითარცა ესმა ესე, იტყოდეს: ესე არა განასხამს ეშმაკთა, გარნა ბელაშებელითა, მთავრითა მით ეშმაკთაჲთა.“ - მათე. 12:24; ასევე მარკ. 3:22; ლუკა 11:15.

მის შესახებ ებრაელებს შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო, მაგრამ ორივე ჯგუფი ფიქრობდა, რომ ის ადამიანი იყო. ეს შეხედულება დღემდეა გადმოცემული ნესტორიანელებში.

ებრაელთაგან [ეს შეხედულება] მიიღო სვიმონ მოგვმა,⁶⁸ წარმოშობით სამარიელმა და ებრაელთა ნათესავმა. ის რომში შეეწინააღმდეგა მოციქულებს, საკუთარი თავი განადიდა და თქვა: „მე ვარ დიადი“⁶⁹ - თავი ქრისტედ მიაჩნდა, როგორც მან მიიღო ანასა და კაიაფასგან, მისი თანამოსაქმეებისა და მოძღვრებისგან. სიმონისგან ებიონმა⁷⁰ მიიღო ეს ცთომილება, ებიონისგან - არტემონმა,⁷¹ არტემონისგან კი პავლე სამოსატელმა.⁷² პავლე გარკვეული ხნის

⁶⁷ „წერილის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელი და გამომცემელი ა. ბატსი (Aaron Michael Butts) მიუთითებს, რომ ეს სიტყვა არ მოიპოვება ასემანის გამოცემაში, მაგრამ წარმოდგენილია ხელნაწერში (Simeon of Beth Arsham, Letter on Bar Şawmā, 311 შენ. 11). ჩვენი მხრივ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სიტყვა ნამდვილად არის ხელნაწერში (Vat. sir. 135. 24r2). იგი ასევე არის ასემანისეული ლათინური თარგმანის ტექსტში („Samaritanum“ – Assemanus, Bibliotheca orientalis, 346) და გარსოიანისეულ ფრანგულ თარგმანში („de Samaritain“ - Garsoïan, L'Église arménienne, 451), მაგრამ არ მოიპოვება ბეკერისეულ ინგლისურ თარგმანში (Becker, „The Letter of the Blessed Mār Shem‘on,” 25).

⁶⁸ სვიმონ მოგვი - მოციქულთა თანამედროვე; იგი იყო გნოსტიკური სწავლების პირველი წარმომადგენელი და ამიტომ ქრისტიანული ეკლესიიდან გამოსულ ერესიარქად, მწვალებლობის მეთაურად ითვლება. იგი ტომით იუდეველი იყო, კვიპროსიდან, განათლება მიიღო ალექსანდრიაში, სადაც ფილონის სისტემის დებულებებს გაეცნო. ლუკა მახარებელი შენიშნავს, რომ იგი ჯადოქრობით აკვირვებდა სამარიტელებს, რომელთაც მიაჩნდათ, რომ „ესე არს ძალი ღმრთისაჲ დიდი“ (საქმ. 8,9-10). სიმონმა, აითვისა რა ფილონის სწავლება ღმერთისა და სამყაროს შუამდგომელ არსებაზე (პლატონის მიხედვით, ღმრთეებრივ სიტყვაზე, ანუ გონებაზე), თავისი თავი ღმრთის ხორცშესხმულ ძალად, ანუ უმაღლეს ეონად გამოაცხადა, რომელიც სინას მთაზე მამა ღმერთის სახით გამოჩნდა, ტიბერიუს კეისრის დროს – ძის სახით, ხოლო მოციქულებზე – სულიწმიდის სახით. თავის თანამგზავრ სელენეს, ან ელენეს, ღმრთის ხორცშესხმულ სიბრძნედ წარმოადგენდა.

⁶⁹ საქმე. 8, 9-10.

⁷⁰ ებიონი, ებიონიტების სექტის ერესიარქი, რომელიც შესაძლოა არც არსებობდა. მას, როგორც რეალურ პიროვნებას, პირველად ასახელებს ტერტულიანე (115-220). იგი წერს, რომ ებიონი იყო კერინთუსის მოწაფე და იოანეს სახარება მათ წინააღმდეგ იყო მიმართული, ეითვლება, რომ მისი სახელი მიღებულ იქნა სექტის დასახელების „ებიონიტების“, რაც „დატაკს, უპოვარს“ ნიშნავს, პირდაპირი წაკითხვით, როგორც „ებიონის მიმდევრებად“ და სხვა რაიმე ხელჩასაჭიდი მისი არსებობის დამადასტურებლად არ არსებობს (Henry Wace and William C. Piercy, edit. A dictionary of Christian biography and literature to the end of the sixth century A.D., with an account of the principal sects and heresies, (Boston: Little, Brown and Company, 1911),).

⁷¹ არტემონი - მე-2 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-3 საუკუნის პირველი მესამედის მოღვაწე. მონარქიანული, ანუ ანტიტრიინიტარული მიმართულების მქადაგებელი და ერთ-ერთი ლიდერი. მან ქრისტეს ღვაებრიობის დოქტრინა გამოაცხადა სიახლედ, რომელიც რომის პაპ ზეფირინუსის (202-217) დროიდან იღებდა სათავეს და წარმართულ მრავალღმერთიანობაში დაბრუნებად. ის ამტკიცებდა, რომ ქრისტე იყო მხოლოდ ადამიანი, მაგრამ შობილი ქალწულისაგან და სათნოებით წინასწარმეტყველებზე აღმატებული. იგი ეკლესიიდან განკვეთა პაპმა ზეფირიუსმა (Wace and Piercy, A Dictionary, 52-53)

განმავლობაში იყო სირიის ქალაქ ანტიოქიის ეპისკოპოსი იყო რომაელთა წარმართი მეფეების ხანაში, ვიდრე კონსტანტინე [24v1] რომაელთა მორწმუნე და ჭეშმარიტი მეფე მოვიდოდა მმართველობის სათავეში. რადგანაც რომაელ მეფეებს შორის არ იყო შიში [ღვთისა]. პავლე სამოსატელმა გაბედა უფრო მეტი ღვთისგმობა, ვიდრე სვიმონ მოგვმა, ებიონმა და არტემონმა, მისმა მასწავლებლებმა - ნეტარ მარიაზე თქვა: „მარიამმა შვა ჩვეულებრივი ადამიანი“ და „იგი შობის შემდეგ არ დარჩენილა ქალწულად“. ის ასევე უწოდებდა ქრისტეს შექმნილს, მოკვდავს, და მადლისმიერ ძეს.⁷³ მან საკუთარი თავის შესახებ თქვა: „მეც, თუ კი მოვისურვებ, შემიძლია გავხდე ქრისტე, რადგანაც მე და ქრისტე ერთი ბუნების ვართ“. პავლე სამოსატელმა აჩვენა ორი ბუნების მწვალებლობა,⁷⁴ მათი ინდივიდუალური თვისებები და მათი მოქმედებები.⁷⁵

(348) პავლესგან [ეს ცთომილება] მიიღო დიოდორემ, კილიკიის ტარსუსის [ეპისკოპოსმა].⁷⁶ იგი ბავშვობიდან იყო სულიწმინდის მგმობი მაკედონიანელთა

⁷² პავლე სამოსატელი - სირიის ანტიოქიის ეპისკოპოსი 260-270 წლებში. მისი სწავლება წარმოადგენდა არტემონის შეხედულებების განვითარებას. აღმოსავლელი ერესიარქების მსგავსად იგი ქრისტეს მხოლოდ ადამიანობას აღიარებდა. „ის არ იყო მარიამამდე, არამედ მისგან მიიღო არსებობის დასაბამი“ - ამბობდა იგი ქრისტეზე (Wace and Piercy, A Dictionary, 815). იგი ამბობდა, რომ ქრისტე უბრალო ადამიანია: როგორც ყოველ წინასწარმეტყველში, ასევე ქრისტეშიც ღმერთი-სიტყვა მკვიდრობდა, მხოლოდ უფრო მეტი ზომითა და ძალით. ქრისტეში ორი ბუნებაა, მაგრამ ერთი თვით მისია, ხოლო მეორე - ქრისტეში დამკვიდრებული ღმერთი სიტყვისა. ამიტომ ეს ორი ბუნება სრულიად განყოფილი და ერთმანეთისთვის უცხოა. პავლე სამოსატელის ერესი, რომელიც ანტიოქიის ორმა ადგილობრივმა კრებამ (264 და 268 წწ.) დაგმო, მიეკუთვნება ე. წ. „დინამიურ მონარქიანობას“. მისი ერეტიკული სისტემის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს შემდეგი თეზისი: „არსებობს მხოლოდ ერთი, აბსოლუტური და განუზომლად ყველაზე მაღლა მდგომი ღმრთეებრივი პირი, რომელსაც წმიდა წერილში მამა ღმერთი ეწოდება. მართალია, როგორც ჩანს, წერილი სამ ღმრთეებრივ პირზე - მამასა, ძესა და სულიწმიდაზე - საუბრობს, მაგრამ ეს მხოლოდ სამი განსხვავებული სახელია, რომლებიც ერთსა და იმავე პირის მიმართ გამოიყენებიან“.

⁷³ სირ. *brā d-taybutā* (Vat. sir. 135. 24v1) - სიტყვა-სიტყვით „მადლის ძე“.

⁷⁴ ერესი.

⁷⁵ სირ. *ihidāyāthon* და *ma'bdānwāthon* (Vat. sir. 135. 24r1).

⁷⁶ დიოდორე (გარდ. 390 წ.) კილიკიის ტარსუსის ეპისკოპოსი 378-390 წლებში. იგი უშედავათოდ ებრძოდა აპოლინარიზმს, მოძღვრებას იმის შესახებ, რომ განკაცებულმა ღმერთმა მხოლოდ განსულიერებული სხეული შეიმოსა, მაგრამ არ მიუღია მას ადამიანური გონიერი სული და რომ მას ადამიანური ნებელობა არ ჰქონდა. აპოლინარიზმი ფაქტობრივად ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია მონოფიზიტობისკენ. აპოლინარიზმთან ებრძოლი დიოდორე ტარსელი თეოდოსი დიდის ანალებში „მართლმადიდებლობის ბურჯად“ იწოდებოდა და ამ პატივითვე აღესრულა. დიოდორე ტარსელი, რომელიც აპოლინარიზმს ებრძოდა, ებრძოდა იმ კუთხით, რომ წმიდა წერილიდან წარმოეჩინა მტკიცებულებანი ქრისტეს კაცობრივი ნების დასადასტურებლად. მაგრამ ქრისტეს იმდენი კაცობრივი თვისება გამოავლინა, რომ ის მეორე უკიდურესობაში ჩავარდა და არა მხოლოდ ქრისტეს ორბუნებოვნება დაუშვა, არამედ ორპიროვნულობაც, რომ პიროვნება ძე ღმერთი შეუერთდა კაც პიროვნებას და მათი შეერთება არის განკაცება. სწორედ ეს აზრი იმემკვიდრა ნესტორმა. რის გამოც იგი მიიჩნეოდა ნესტორიანისმის ფაქტობრივ მშობლად და იწოდებოდა „ნესტორამდე ნესტორიანელად“. 553 წელს, V

ერესის⁷⁷ [მიმდევარი], როდესაც დიოდორე ქრისტიანობაზე მოექცა და კილიკიის ტარსუსის ეპისკოპოსი გახდა, მან გააძლიერა მაკედონიუსის⁷⁸ მწვალებლობა. და ასევე დაყო ქრისტეში ბუნებები, მათი ინდივიდუალური თვისებები და მოქმედებები. [24v2] ის ფიქრობდა, რომ ქრისტე იყო ადამიანი, ქმნილი, მოკვდავი და ბუნებით ჩვენი მსგავსი და მადლისმიერი ძე. ყველაფერში ის მისდევდა პავლე სამოსატელს, თავის მოძღვარს.

დიოდორესგან მიიღო [ეს ცთომილება] თეოდორემ, კილიკიის მოფსუესტიის [ეპისკოპოსმა].⁷⁹ მან განმარტა⁸⁰ ძველი და ახალი [აღთქმის] ყველა წიგნი. თავის ყველა განმარტებასა⁸¹ და ქადაგებაში⁸² ის აჩვენებდა, რომ ქრისტეს შესახებ მას ჰქონდა ურიული აზრი, ისევე როგორც დიოდორესა და პავლე სამოსატელს, მის მოძღვრებს. ეს [შეხედულება], რაც მომდინარეობდა სვიმონ მოგვისგან, პავლე [სამოსატელისგან] და დიოდორესგან, მან გააძლიერა და დაადასტურა. ის მიიჩნევდა, რომ ქრისტე იყო ადამიანი, ქმნილი, მოკვდავი და იმავე ბუნების, რომლისაგან ჩვენ [ვართ]. მადლისმიერი ძე და დაუსაბამო ძის ტაძარი.⁸³ [ის ამბობდა], რომ „ის (ე.ი. ქრისტე - დ.ჩ) არის არა ბუნებით ღვთის ძე, არამედ მადლით“, მის სხვა ღვთისგმობასთან ერთად, რომლითაც სავსეა მისი ქადაგებები და კომენტარები.

მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დიოდორე ტარსელი შეაჩვენეს (Wace and Piercy, A Dictionary, 255-257)

⁷⁷ მაკედონიანელთა ერესმა სახელი მიიღო კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს მაკედონიუსისგან (342-346; 351-360), იგივე სულისმბრძოლთა ერესი. ისინი უარყოფდნენ სულიწმიდას, როგორც წმიდა სამების ერთ-ერთ ჰიპოსტასს, მიიჩნევდნენ რა მას მამა ღმერთის ქმნილებად. მაკედონიანელთა ერესი დაიგმო 381 წელს კონსტანტინოპოლში გამართულმა მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებამ.

⁷⁸ მაკედონიუსი - კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი 342-346 და 351-360 წლებში. ნახევრად არიანელი. სულისმბრძოლთა ერესის ერესიარქი.

⁷⁹ თეოდორე მოფსუესტელი - მოფსუესტიის ეპისკოპოსი 392-428 წლებში. დიოდორე ტარსელის მიერ დაარსებული ანტიოქიის ჰერმენევტიკული სკოლის საუკეთესო წარმომადგენელი. თეოდორეს აზრით, ძე ღმერთი, ღვთის სიტყვა, ჩასახლდა ადამიან ქრისტეში. მართალია, იგი აღიარებდა ერთ ქრისტეს, მაგრამ ორ უკიდურესად ცალკე მდგომ ადამიანურ და ღვთაებრივ ბუნებებს. თეოდორეს აზრით, წმ. მარიამი იყო არა ღმერთის დედა, არამედ ქრისტეს ადამიანური ბუნების და სხეულის მშობელი, რის გამოც იგი მას „ქრისტოთოკოსს“ ანუ ქრისტეს-მშობელს უწოდებდა და არა „თეოტოკოსს“- ღვთისმშობელს. მისი იდეები მის შემდეგ მისმა მოწაფემ, ნესტორმა უფრო აქტიურად განავითარა.

კირილე ალექსანდრიელის სიტყვით, სწორედ დიოდორე ტარსელი და თეოდორე მოფსუესტელი იყვნენ ნესტორის ღვთისგმობის მშობლები. 428 წელს თეოდორე მოფსუესტელი ეკლესიასთან ერთობაში გარდაიცვალა, სწორედ ამიტომ კირილე იერუსალიმელი უარს ამბობდა მის ანათემაზე გადაცემაზე. თეოდორე მოფსუესტელი და მისი თხოვლებები შეაჩვენა 553 წელს კონსტანტინოპოლში მოწვეულმა V მსოფლიო საეკლესიო კრებამ (Wace and Piercy, A Dictionary, 965-968)

⁸⁰ Syr. *pashsheq* (Vat. sir. 135. 24v2). თეოდორე ჩვეულებრივ იწოდება როგორც

„განმმარტებელი“ (*mphashshqānā*).

⁸¹ Syr. *pushshāqē* (Vat. sir. 135. 24v2).

⁸² Syr. *mēmre* (Vat. sir. 135. 24v2).

⁸³ სირ. *hayklā da-brā mtomāyā* (Vat. sir. 135. 24v2).

(349) თეოდორესგან მიიღო [ეს ცთომილება] ნესტორმა.⁸⁴ ნესტორი დიდი ქალაქის, ანტიოქიის ეკლესიის მღვდლად აკურთხეს და შემდეგ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი გახდა. **[25r1]** ის იყო ქალაქ გერმანიკიიდან. მან განიზრახა, რომ თავისი მოძღვრების, რომლებიც ზემოთ წერია, წყეულ ერესში თავად დაეკავებინა მთავარი ადგილი. რათა მისი ცთომილების მიმდევრები მისი სახელით ყოფილიყვნენ ხმობილნი, მსგავსად მარკიონისა,⁸⁵ რომლის სახელის მიხედვითაც იწოდებიან მარკიონიტები⁸⁶ და მსგავსად ევტიქისა,⁸⁷ რომლის სახელის მიხედვით იწოდებიან ევტიქიანელნი.⁸⁸ ამის გამო, ნესტორი, ქეშმარიტების მტერი, ღიად ღვთისმგმობარობდა კონსტანტინოპოლის

⁸⁴ ნესტორი - ანტიოქიის საღვთისმეტყველო სკოლის წარმომადგენელი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი 428-431 წლებში. ნესტორი ანტიოქიური თეოლოგიური სკოლის მიმდევარი იყო, რომელიც ქრისტეში უფრო მის ადამიანურობას უსვამს ხაზს (განსხვავებით ალექსანდრიული სკოლისაგან, რომელიც ქრისტეში უმთავრესად ღმრთაებრიობას გამოკვეთდა). დაპირისპირებათა ამოსავალ წერტილად იქცა წოდება „ღმრთისმშობელი“ (theotókos - „ღმრთის მშობელი“), რომლითაც მარიამს მოიხსენიებდნენ. ნესტორი უპირატესობას ანიჭებდა ტერმინებს „ღმრთისმომღები“ (theodóchos - „ქალი, რომელმაც ღმერთი მიიღო“) ან „ქრისტესმშობელი“ (Christotókos - „ქრისტეს მშობელი“), რითაც გულისხმობდა, რომ მარიამი მხოლოდ ქრისტეს ადამიანურობის მშობელი იყო და ამგვარად უარყოფდა ჰიპოსტატურ კავშირს. აქედან გამომდინარე, ქრისტეში პიროვნებათა ორგვარობასთან გვაქვს საქმე. 431 წელს ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრებამ ნესტორის სწავლება დაგმო. ნესტორი ანათემას გადასცეს და კათედრიდან დაამხეს.

⁸⁵ მარკიონი - სირიული გნოსტიციზმის წარმომადგენელი. გადმოცემით ცნობილია, რომ იგი მამამ, რომელიც სინოპის ეპისკოპოსი იყო, განკვეთა ეკლესიიდან, როცა გნოსტიკურმა აზრებმა გაიტაცა. დაახ. 150 წელს მარკიონი მივიდა რომში, სადაც გაიცნო სირიიდან ჩასული გნოსტიკოსი კერდონი და მისი დახმარებით საბოლოოდ განავითარა თავისი გნოსტიკური სისტემა.

⁸⁶ მარკიონიტები - მარკიონის მიმდევრები. მარკიონის მიერ დაარსებული საზოგადოება ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ყველა სხვა სირიული გნოზისის საზოგადოებათა შორის. მარკიონელებმა რომში, იტალიაში, სამხრეთ აფრიკაში, ეგვიპტეში, პალესტინასა და სხვა ქვეყნებში VI ს-მდე იარსებეს.

⁸⁷ ევტიქი - კონსტანტინოპოლთან ახლოს მდებარე მონასტრის არქიმანდრიტი. ნესტორიანული დავების დროს წმ. კირილე ალექსანდრიელის ერთ-ერთი მთავარი და გავლენიანი მხარდამჭერი იყო. იგი 431 წლის ეფესოს მსოფლიო კრებაზე ოპონირებას უწევდა ნესტორს. ნესტორის დაგმობის შემდეგ ევტიქი აგრძელებდა ნესტორიანზმის წინააღმდეგ ბრძოლას, რა დროსაც ევტიქი მეორე უკიდურესობაში გადავარდა მეორე უკიდურესობაში და მონოფიზიტობის დამაარსებელი გახდა. 447 წ. მან ქრისტოლოგიური დავების ახალი ფაზა წამოიწყო და უხეზად ფორმულირებული მონოფიზიტური თეზისები წარმოადგინა. მან კავშირი დაამყარა ალექსანდრიის პატრიარქ დიოსკორესთან და 449 წელს, ეფესოს ავაზაკთა კრებაზე, გამარჯვება იზეიმა. 451 წლის ქალკედონის მსოფლიო კრებამ ევტიქის სწავლება დაგმო და ევტიქი ეკლესიიდან განკვეთა.

⁸⁸ ევტიქიანელები - ევტიქის მიმდევრები. ევტიქიანელთა აზრით, ნიკეის სიმბოლოში გამოცხადებულია, რომ ქრისტე ერთარსია მამისა, მაგრამ ის კი არ არის ნათქვამი: ქრისტე ერთარსია კაცისაო. ამიტომ ისინი მოითხოვდნენ წმ. კირილეს გამონათქვამის მიღებას: „ერთი განკაცებული ბუნება სიტყვა ღმერთისა“, მაგრამ, განსხვავებით კირილეს სწავლებისაგან, ამით ღმრთეებისა და კაცების შეერთების შემდეგ ქრისტეს ერთ ბუნებას აღიარებდნენ. ევტიქიანელობა დაგმო 451 წლის ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრებამ.

ეკლესიაში. სიმონ მოგვის, ებიონის, არტემონის, პავლე სამოსატელის, დიოდორესა და თეოდორეს - ნესტორის მოძღვრების, შეხედულებები ამ დრომდე დაფარული იყო მათ შორის. თავისი სიამაყით ნესტორმა საკუთარი თავი ერესის სათავეში დააყენა. იგი შევიდა და დადგა ტაძარში ხალხის წინაშე და ცხადად ღვთისმგმობაობდა, ამბობდა, რომ მარიამი არ უნდა ედილებინათ, რადგანაც მან შვა არა ღმერთი, არამედ კაცი, ქმნილი, მოკვდავი, ბუნებით ჩვენი მსგავსი. და რომ [ქრისტე] მხოლოდ მაღლით ღვთის ძეა წოდების ღირსია. და მოკვდავებთან კავშირის გამო ეწოდება იესოს ღვთის ძე. გარდა ამისა, მან სხვა მრავალი ღვთის გმობა ჩაიდინა, [25r2] რის გამოც ეფესოში წმინდა მამებმა იგი მის მოძღვრებთან ერთად შეაჩვენეს და მოკვეთეს ღვთის წმიდა ეკლესიის ერთობისგან.⁸⁹ და მათთან ერთად ასევე მოკვეთეს მათი მიმდევრები. იმ დროიდან დღემდე, მათ ნესტორიანელებს უწოდებენ.

(350) ნესტორისგან [ეს ცთომილება] მიიღო თეოდორიტე კვირელმა.⁹⁰ ნესტორის გამო თავგამოდებულმა თეოდორიტემ დაწერა უკეთური წიგნი [იმ] წმიდა მამების წინააღმდეგ, რომლებმაც ეფესოში შეაჩვენეს ნესტორი, მისი მოძღვარი.

თეოდორიტესგან [ეს ცთომილება] მიიღო იბამ.⁹¹ იბამ, გარდა ყველა თავისი ღვთისმგმობობისა, რომლითაც თავის ზემოთხსენებულ მოძღვრებს ყველაფერში მიჰყვებოდა, თავის ერთ-ერთ ქადაგებაში უფრო მეტად გმო და თქვა: „მე, იბას, არ მშურს ქრისტესი, რომელიც გახდა ღმერთი, მისი ღმერთად წოდების, რადგანაც ის იყო ჩემნაირი ადამიანი და იმავე ბუნებისა“. რის გამოც, იბა, მსგავსად თეოდორიტე კვირელისა, მის თანამებრძოლებთან და მიმდევრებთან ერთად, შეაჩვენეს.⁹²

⁸⁹ იგულისხმება 431 წელს ქალაქ ეფესოში გამართული მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელზეც, როგორც სიმეონ ბეთ არშამელიც მიუთითებს, დაგმეს ნესტორი და მისი სწავლება.

⁹⁰ თეოდორიტე კვირელი - სირიის ქალაქ კვირის (კვიროსის) ეპისკოპოსი 423-466 წლებში. ანტიოქიური საღვთისმეტყველო სკოლის ერთ-ერთი უდიდესი თეოლოგი, ეგზეგეტი და მწერალი, კლასიკური კულტურისა და ქრისტიანული მწერლობის უბადლო მცოდნე; იგი იზიარებდა ნესტორის ეგზეგეტიკურ შეხედულებებს, მაგრამ გაურბოდა უკიდურესობებს. ღებულობდა და იყენებდა გამოთქმას „ღვთისმშობელი“, ის უშვებდა აზრს ქრისტეს კაცობრივი ბუნების განდმრთობის შესახებ და იმასაც, რომ ღმერთი ადამიანში განხორციელდა. თეოდორიტე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ალექსანდრიულ და ანტიოქიურ სკოლათა განხეთქილებისას ნესტორიანულ და მონოფიზიტურ წვალებათა გამო; ალექსანდრიულ სკოლასთან დაპირისპირებისას, ანტიოქიის პატრიარქ იოანეს (428-442 წწ.) თხოვნით, კირილე ალექსანდრიელის საწინააღმდეგოდ დაწერა რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაგმო V მსოფლიო კრებამ (553 წ.).

⁹¹ იბა ედესელი - ედესის ეპისკოპოსი დაახლ. 435-449 და 451-457 წლებში. იგი დაგმო და კათედრიდან დაამხო 448 წლის ანტიოქიის კრებამ. ასევე დაგმო 449 წლის „ავაზაკთა კრებამ“. კათედრაზე აღადგინა 451 წლის ქალკედონის მსოფლიო კრებამ. თეოდორიტეს მსგავსად მე-6 საუკუნეში იქცა მონოფიზიტთა და ქალკედონიტთა დაპირისპირების მიზეზად. 553 წლის კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრებაზე დაგმეს მისი წერილი მარი სპარსელისადმი.

⁹² აქ უნდა იგულისხმებოდეს 449 წლის ეფესოს „ავაზაკთა კრება“, რომელზეც იბა ედესელი და თეოდორიტე კვირელი დაგმეს.

იბასგან [ეს ცთომილება] მიიღო ვინმე მარიმ, ბეთ არდაშირიდან.⁹³ აქედან დაიწყო სპარსელთა ქვეყნის ნესტორიანელობით გარყვნა [25v1] იბას წერილების და მისი მოძღვრების კომენტარების, ქადაგებებისა და განმარტებების მეშვეობით.

⁹³ Syr. *Māri men bet Hardašir* (Vat. sir. 135. 25r2) - მარი ბეთ არდაშირელის ვინაობა გარკვეული არ არის. სიმეონ ბეთ არშამელი მას აიგივებს იბა ედესელის ერთ-ერთი წერილის ადრესატ „მარი სპარსელთან“. 433 წელს იბა ედესელმა წერილი მისწერა „მარი სპარსელს“. წერილში სასტიკად იყო გაკრიტიკებული ნესტორი წმ. მარიამის „ღვთისმშობლად“ მოხსენიების უარყოფის გამო. ამავე წერილში იბა ედესელი კირილე იერუსალიმელს ადანაშაულებდა აპოლინარიზმში და გმობდა მის „12 თავს“. კიცხავდა მას ქრისტიში სრული ადამიანობისა და ღვთაებრიობის აღიარების გამო და უარყოფდა ერთ პირში ორი ბუნების შეერთებას. (Ibas of Edessa, Letter to Mari the Persian. In: The Cambridge Edition of Early Christian Writings. Vol. 3. 2022: 727-730) იბა ედესელის წერილის ჩვენამდე მოღწეულ სამივე ვერსიაში ადრესატი მხოლოდ „მარი სპარსელად“ არის მოხსენიებული (Michel van Esbroeck, 'Who is Mari, the addressee of Ibas' letter?', Journal of Theological Studies. Ns., 38 (1987), 130). სიმეონ ბეთ არშამელი კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, მას „მარი ბეთ არდაშირელს“ უწოდებს. ასემაწი ტექსტს ასეთი შენიშვნა დაურთო: „სპარსეთის რომელი ქალაქის ეპისკოპოსი იყო იგი, ამას ჩვენ პირველად ვიგებთ [სიმეონ] ბეთ არშამელისგან (Assemani, Bibliotheca Orientalis, 350, შენ.1). გეორგ ჰოფმანმა (Georg Hoffmann) იმ მოტივით რომ „ვეპ არდაშირი (ბეპ არდაშირი)“ სელევკიის ოფიციალური სახელწოდება იყო, სიმეონ ბეთ არშამელის მიერ მოხსენიებული „ბეთ არდაშირი“ სელევკიასთან გააიგივა (Georg Hoffmann, Verhandlungen der Kirchenversammlung zu Ephesus am XXII. august CDXLIX aus einer syrischen handschrift vom jahre DXXXV. In: Festschrift Herrn Dr. Justus Olshausen zu seinem fünfzigjährigen Doctorjubiläum am neunundzwanzigsten November MDCCCLXXIII gewidmet von der Universität zu Kiel. Kiel, Druck von C. F. Mohr, 1873.. 93. N. 160). ჟერომ ლაბური (Jérôme Labourt - 1874-1957) მისი ვინაობის შესახებ შემდეგნაირად მსჯელობდა: იბას წერილი შეიცავს ისეთ ფორმულებს (მაგ. „თქვენო უწმიდესობავ“), რომელიც მხოლოდ ეპისკოპოსს მიემართება, მარი უნდა იყოს ეპისკოპოსი და თან საკმაოდ გავლენიანიც. მის კათედრას ეწოდება „ბეთ არდაშირი“, რაც, ლაბურის აზრით, სელევკიის ოფიციალური სახელწოდებაა. რაშიც იგი ტაბარის ტექსტს და მის გერმანულ თარგმანს იმორჩებს. ამგვარად მარი გამოდის სელევკიის კათოლიკოსი და იბასეული მიმართვის ფორმა სრულიად გამართლებული იქნებოდა. მაგრამ კათოლიკოსს, რომელიც ამ ეპოქაში სპარსეთის ეკლესიას განაგებდა, ერქვა დადიშო. ეს ხელისშემშლელი ფაქტორი მკვლევარმა ასე ახსნა: წერილის ორიგინალში იბას ადრესატი მოხსენიებული უნდა ყოფილიყო ამგვარად: „უფალი (სირიულად: ܡܪܝ Mār(i) ეპისკოპოსი ბეთ არდაშირისა“, პატივის აღმნიშვნელი წოდება „Mār(i)“ ბერძნულ თარგმანში საკუთარ სახელად იქნა გადააზრებული. ლაბური თვლის, რომ ორიგინალში დადიშოს სახელი სრულად ეწერა და ბერძნულ თარგმანში იგი გამოტოვებულ-იქნა ბერძნულად მისი გადაწერის დროს (Jérôme Labourt, Le christianisme dans l'empire perse sous la dynastie sassanide (224-632), (Paris: Librairie Victor Lecoffre, Bibliothèque de l'enseignement de l'histoire ecclésiastique, 1904), 133. შენ. 6). „სიირთის ქრონიკის“ ტექსტზე დაყრდნობით, რომელშიც ვკითხულობთ: „მანა და მა'ანა, სპარსეთის მიტროპოლიტები, რომლებიც იყვნენ თითქმის თანამედროვენი განმმარტებლისა (თეოდორე მოფსუესტელი), არ თარგმნიდნენ მას. შემდგომად მანასი, მა'ანასი და მარისა, სპარსეთის მიტროპოლიტებისა - ეს იყო წმინდანი, რომელმაც მართლმადიდებელ სარწმუნოება გამოაცხადა სპარსეთის ნაწილში. იბას, ედესის ეპისკოპოსს, ადრევე ჰქონდა მიწერილი მარისთვის, თუ რა მოხდა ნესტორიუსსა და კირილეს შორის“ (Scher, Histoire Nestorienne (1911), 117), ადაი შერი (Addai Scher – 1867-1915) წერდა: „ეს მონაკვეთი ადასტურებს, რომ იბას წერილის ადრესატი იყო რევ-არდაშირის ეპისკოპოსი და არა კათოლიკოსი დადიშო, როგორც ამას ჟ. ლაბური

[351] მარის შემდეგ, იბასგან [ეს ცთომილება] მიიღო ედესელმა⁹⁴ მღვდელმა, მარონ⁹⁵ დილაიტელმა,⁹⁶ იგი იყო გადამწერი⁹⁷ ედესის სპარსელთა სკოლაში.⁹⁸

ვარაუდობს“ (Scher, *Histoire Nestorienne*, 117, შენ. 3). პაულ პეეტერსი (Paul Peeters - 1870-1950) დასაშვებად მიიჩნევდა იმას, რომ მარი იყო ერთ-ერთი სასულიერო პირი, რომელიც თან ახლდა კათოლიკოს იაჰბალაჰას 417-418 წლებში აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ელჩობისას. იგი უფრო მეტად დასაშვებად მიიჩნევდა აზრს, რომ მარი ერთ-ერთი იყო იმ მრავალრიცხოვან ქრისტიანთაგან, ვინც იეზიდგერდ I-ის მიერ წამოწყებულ ქრისტიანთა დევნას ბიზანტიის იმპერიაში შეაფარა თავი (Paul Peeters, "La Vie de Rabboula, évêque d'Édesse (+ 7 août 436)." *Recherche de Science Religieuse* vol. 18 (1928), 189, შენ. 66). იბა ედესელის წერილის დასასრულზე დაყრდნობით, რომელშიც ღვთის სწავლებაში მარის „დღითა და ღამით“ წვრთნაზე არის საუბარი (Ibas of Edessa, *Letter to Mari the Persian*. 730), მიშელ ვან ესბროკმა ჩათვალა, რომ იგი მღვიძარეთა მონასტრის წევრი უნდა ყოფილიყო. მისი აზრით, მარი რეკ-არდაშირში უნდა დაბადებულიყო და შემდეგ წასულიყო ედესის სკოლაში, სადაც უნდა შეხვედროდა იბას. შემდეგ კი კონსტანტინოპოლში არსებულ მღვიძარეთა მონასტერში უნდა ემოღვაწევა. სწორედ აქ მოღვაწეობის პერიოდში, 433 წელს უნდა მიეწერა მისთვის იბა ედესელს აღნიშნული წერილი (van Esbroeck, who is mari, 133-134). იბა ედესელის წერილმა მარი სპარსელისადმი წერილმა დაპირისპირება გამოიწვია VI საუკუნეში, როდესაც „სამი თავის“ შესახებ დაიწყო დავა. იმპერატორმა იუსტინიანემ თავის ედიქტში ეს წერილი, თეოდორიტე კვირელისა და თეოდორე მოფსუესტელის ნაწერებთან ერთად გამოაცხადა არაორთოდოქსულად. იბას წერილი ოფიციალურად დაგმო 553 წელს კონსტანტინოპოლში გამართულმა მე-5 მსოფლიო საეკლესიო კრებამ (Wace and Piercy, *A Dictionary*, 507).

⁹⁴ Syr. Ūrhāy - ურჰა, ქალაქ ედესის სირიული სახელწოდება. ჩვენ იგი ტექსტში მოგვაქვს „ედესის“ ფორმით.

⁹⁵ მარონი - ასემანის აზრით, იგი უნდა იყოს „დიაკონი მარონიუსი“, რომელიც მოიხსენიება ქალკედონის კრების აქტებში (X აქტი), იბას შუამდგომლობასთან დაკავშირებით (Assemani, 351, შენ.1). ა. ბეკერს ერთმანეთში ერევა დიაკონი მარონიუსი და ედესელი დიაკონი მარესი, და რაკიდა ეს უკანასკნელი იბას დაგმობაში მონაწილეობდა 448 წლის ანტიოქიის და 449 წლის ტვიროს-ბერიუთის (ბერიუთისის) კრებაზე, ამ გაიგივებას ეჭვის თვალთ უყურებს (Becker, "The Letter of the Blessed Mār Shem'ōn," 31, შენ. 57.) დიაკონი მარონიუსი და დიაკონი მარესი რომ სხვადასხვა პიროვნებაა, ეს აშკარაა. მარეს ედესელი იბას მოწინააღმდეგე სასულიერო პირი იყო - მან, იბას ეპისკოპოსოსად კურთხევიდან მალევე სხვა ედესელ დიაკვნებთან, სამუელთან, კიროსთან და ევლოგიუსთან ერთად იმპერატორ თეოდოსისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქ პროკლეს წინაშე ბრალი დასდო (S.G.F. Perry. Trans., *The Second Synod of Ephesus, together with certain extracts relating to it, from Syriac MSS. preserved in the British Museum, and now first edited.* (Dartford, Orient Press, 1881: 29-30. შენ.). ხოლო შემდეგ იბას წინააღმდეგ მოწყობილ კრებებს ესწრებოდა, როგორც ერთ-ერთი მთავარი ბრალდებული და მოწმე (Perry, *The Second Synod*, 95, 100, 121). რაც შეეხება დიაკონ მარონიუსს, იგი იბა ედესელის მხარდამჭერი იყო, რასაც ადასტურებს 449 წ. ტვიროსის კრებისადმი მიწერილი ედესელი სამღვდელოების წერილი, რომელსაც მარონიუს დიაკონიც აწერს ხელს და რომელშიც ისინი იბას კათედრაზე დაბრუნებას ითხოვენ (Richard Price and Michael Gaddis, trans., *The Acts of the Council of Chalcedon. Translated with introduction and notes by.* V. 1. Liverpool University Press 2005: 302). მარონიუს დიაკონი, როგორც იბას თანამოაზრე, იხსენიება ეფესოს 449 წლის კრების მასალებში. სადაც მითითებულია, რომ მას აღმოუჩინეს ნესტორის წიგნები. კრებამ გადასახლება მიუსაჯა მარონიუსს (Perry, *The Second Synod*, 72-73).

⁹⁶ ორიგინალში წერია „Elitā“ (Vat. sir. 135. 25v1), ასემანის აზრით, წაკითხულ უნდა იქნას, როგორც Dilita ან Dilaita. ხოლო ნათესაობითი ბრუნვის შემთხვევაში როგორც D-Dilaita. ეს მარონი, მისივე თქმით, იაკობიტთა ისტორიის თანახმად, დილაიტას მონასტერში იყო

სპარსელთა დროს ედესის სკოლაში იყო ზოგიერთი ქვემოთ ჩამოთვლილთაგანი: აკაკი არამელი, ⁹⁹ რომელსაც სკოლაში „მონეტების მხრჩობელს“ ¹⁰⁰ უწოდებდნენ; ბარსუმა, ¹⁰¹ (352) ქარდუელი ¹⁰² მარის მსახური, ¹⁰³ რომელსაც „ლეღქაშებში მშარდველს“ ¹⁰⁴ უწოდებდნენ; მანე ბეთ არდაშირელი, ¹⁰⁵

მონაზონი. სანამ ედესის სკოლიდან გააძევებდნენ (Assemani, Bibliotheca orientalis, 351, შენ.1). დილაიტა (ან დალიატა) მცირე ზომის ქალაქი იყო და მდებარეობდა მდინარე ევფრატის დასავლეთ ნაპირზე (Joseph Simonius Assemanus, Bibliotheca orientalis clementino-vaticana in qua manuscriptos codices syriacos, arabicos, persicos, turcicos, hebraicos, samaritanos, armenicos, aethiopicos, graecos, aegyptiacos, ibericos et malabricos, jussu et munificentia Clementis XI. pontificis maximi ex oriente conquisitos, comparos, avectos, Bibliothecae Vaticanae addictos: De scriptoribus Syris orthodoxis. Tomi Tertii, Pars Prima (Rome: Typis Sacrae Congregationis de Propaganda Fide, 1925), 103, შენ, 4; Wace and Piercy, A Dictionary, 568).

⁹⁷ Syr. sâphrâ (Vat. sir. 135. 25v1).

⁹⁸ Syr. eskolâ d-pârsâyê d-it [h]wâ b-urhây (Vat. sir. 135. 25v1).

⁹⁹ აკაკი არამელი - აღმოსავლეთის კათოლიკოსი 485-496/7 წლებში. იგი იყო მესოპოტამიის რეგიონ ბეთ არამეადან.

¹⁰⁰ Syr. hâneq lûmâ - უცნობია, თუ რა იგულისხმება ამ ზედმეტსახელში, შესაძლოა მასში აკაკის სიძუნწე ან ვერცხლისმოყვარეობა იგულისხმებოდეს.

¹⁰¹ ბარსუმა - ნიზიბინის ეპისკოპოსი მე-5 საუკუნის მე-2 ნახევარში, ირანის შაჰ პეროზის (457-484) ფავორიტი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „აღმოსავლეთის ეკლესიაში“. ვრცლად მის შესახებ, იხ. Stephen Gero, Barsauma of Nisibis and Persian Christianity in the Fifth Century (Lovanii: Peeters, 1981).

¹⁰² ქარდუ - ბეთ ქარდუ, სირიული სახელწოდება ვანის ტბის სამხრეთითა და ტიგროსის აღმოსავლეთით არსებული რეგიონისა, რომელიც დღეს აღმოსავლეთ თურქეთში და რომელიც ცნობილია, როგორც გორდინე. იგი მდებარეობდა ნიზიბინის ჩრდილოეთით და როგორც საეკლესიო ერთეული, ნიზიბინის ეპარქიაში შედიოდა.

¹⁰³ ორიგინალში: ‘abḏā d’Mārā Qardūyā (Vat. sir. 135. 25v1) - ასემანი, ლაბური, გარსოიანი, ბეკერი და ბატის თარგმნიან, როგორც „მარი ქარდუელის მსახური“ (Assemani, Bibliotheca Orientalis, 352; Labourt, Le christianisme, 131; Garsoïan, L’Église arménienne, 453; Becker, “The Letter of the Blessed Mār Shem’ôn,” 32; Simeon of Beth Arsham, Letter on Bar Sawma, 313). ბრაუნი, შაბო და ფიე როგორც „მარი ქარდუელის მონა“ (Oscar Braun, Das Buch der Synhados ; oder, Synodicon orientale (Amsterdam: Philo Press, 1900), 60; Chabot, Synodicon orientale, 308, შენ.1; Jean-Maurice Fiey, Nisibe, métropole syriaque orientale et ses suffragants des origines à nos jours (Louvain : Secrétariat du CorpusSCO, 1977), 176) გირო მიუთითებს, რომ არ არსებობს მიზეზი, რაც გვაიძულებს „Mārā“, რაც სირიულად „ბატონს“ ნიშნავს, ვაქციოთ საკუთარ სახელად, როგორც ამას ასემანი აკეთებს (Gero, Barsauma of Nisibis, 26, შენ. 5) და შესაბამისად აღიღოს ასე თარგმნის „ქარდუელი ბატონის მონა“ – “the Slave of a master from Qardu” (Gero, Barsauma of Nisibis, 26). რაც შეეხება თავად ცნობას ბარსუმას მონობის/მსახურობის შესახებ, ჟ. ლაბურის აზრით, ეს შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ იგი მარი ქარდუელის მიწაზე დაიბადა (Labourt, Le christianisme, 131, შენ.2). გიროს ნაკლებად სავარაუდოდ მიაჩნია ბარსუმას მონობა. მისი აზრით, აქ უფრო პოლემიკური მიკერძოების ასახვა უნდა გვქონდეს (Gero, Barsauma of Nisibis, 26-27)

¹⁰⁴ Syr. sâhā bêt qennā. ასემანი, გარსოიანი, ბეკერი და ბატის ამ ზედწოდებას თარგმნიან როგორც „ბუდეებს შორის მოცურავე“ - Assemani, Bibliotheca Orientalis, 352; Garsoïan, L’Église arménienne, 453; Becker, “The Letter of the Blessed Mār Shem’ôn,” 32; Simeon of Beth Arsham, Letter on Bar Sawma, 313). გეორგ ჰოფმანი ბოლო სიტყვას “qenē” მრავლობითი რიცხვის ფორმას სიტყვისა „qenā“ – „ბუდე“ ასწორებს და კითხულობს როგორც „qnavā“, მრავლობითი რიცხვის ფორმას სიტყვისა „qanvā“ – “ლეღქაში“. ამდენად იგი ბარსუმას

„თუთქის მსმელად“¹⁰⁶ წოდებული; აბშოტა ნინევიელი,¹⁰⁷ რომელსაც უწოდებდნენ ისეთ სახელს, რომლის დაწერაც ჩვენთვის მიზანშეწონილი არ არის;¹⁰⁸ იოანე ბეთ გარმაელი,¹⁰⁹ „ძუძუთა გოჭად“¹¹⁰ წოდებული; მიქე,¹¹¹ „დაგონად“ წოდებული; პავლე ბარ ქაქი¹¹², ბეთ ჰუზაიეში¹¹³ მდებარე ქალაქიდან¹¹⁴, „ოსპის მკეთებლად“ წოდებული; აბრაამ მიდიელი,¹¹⁵ „აბანოების გამათბობელად“ წოდებული; ნარსაი,

ზედწოდებას იაზრებს როგორც “ჭაობში მოცურავე - ღორი”. ს. გიროს თქმით, ადრეულ აღმოსავლურ ხელოვნებაში გარეული ღორები ხშირად არის გამოსახული ლელქაშებში, მაგრამ „ჭაობში მოცურავე“ არ არის „ღორის“ სინონიმად დადასტურებული. ამის მიუხედავად, გირო მაინც ეთანხმება “qenē”-ს ჰოფმანისეულ წაკითხვას „qnavā“-დ და ამასთან მცირეოდენი შესწორება შეაქვს პირველი სიტყვის გაგებაშიც, კერძოდ, მისი თქმით, „sahāyā“ არ ნიშნავს მხოლოდ „მოცურავს“, არამედ „მშარდველსაც“. ამდენად, მისი აზრით, ბარსუმასთვის შერქმეული ზედმეტსახელი იყო „ლელქაშებში მშარდველი“ (Giro, Barsauma of Nisibis, 28, შენ. 14). ჩვენც ეს უკანასკნელი მოსაზრება გავიზიარეთ.

¹⁰⁵ მანე ბეთ-არდაშირელი - რევ-არდაშირის (ძველი ქალაქი სპარსეთის ყურესთან, ფარსიის პროვინციის მთავარი ქალაქი) ეპისკოპოსი და ფარსის მიტროპოლიტი. აღმოსავლეთის ეკლესიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფიგურა მე-5 საუკუნის ბოლოს. მრავალი წიგნის ავტორობა და თარგმნა მიეწერება. თავდაპირველად იყო ბარსუმას თანამოაზრე, შემდეგ შუამავლისა და შემრიგებლის როლს ასრულებდა ბარსუმასა და კათოლიკოს აკაკის შორის არსებულ კონფლიქტში (ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 156).

¹⁰⁶ Syr. Šātā qetmā

¹⁰⁷ მასზე არაფერია ცნობილი.

¹⁰⁸ უცნობია, ეს კომენტარი თავად სიმეონ ბეთ არშამელს ეკუთვნის თუ მისი შრომის გვიანდელ გადამწერს (Gero, Barsauma of Nisibis, 28, შენ. 14).

¹⁰⁹ იოანე ბეთ გარმაელი - ბეთ სელოკის კარკას (თანამედროვე ქალაქი ქირქუქი ერაყში) ეპისკოპოსი და ბეთ გარმაის (ისტორიული რეგიონი, ერაყის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში) მიტროპოლიტი მე-5 საუკუნის ბოლოს. ბარსუმა ნიზიბინელის თანამოაზრე და 484 წლის ბეთ ლაპატის კრების მონაწილე. შემდგომში მონაწილეობა მიიღო 485 წლის ბეთ ედრაისა და 486 წლის სელევკიის კრებებში და ხელი მოაწერა მის დადგენილებებს (ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 159, 170)

¹¹⁰ Syr. hānūṣā

¹¹¹ მიქე - ლაშომის ეპისკოპოსი. მონაწილეობა მიიღო 486 წლის სელევკიის კრებაში და ხელი მოაწერა მის დადგენილებას (ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 170)

¹¹² პავლე ბარ ქაქი - ლედანის კარკას ეპისკოპოსი. იგი იყო ბარსუმას თანამოაზრე, მას შემდეგ, რაც ბარსუმა კათოლიკოს აკაკის შეურიგდა 485 წლის ბეთ ედრაის კრებაზე, იგი ცდილობდა პავლეს დაეყოლიებინა კათოლიკოსთან შერიგებაზე, რაზეც თავდაპირველად უარი მიიღო (ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 157-158). როგორც ჩანს, შემდგომში იგი შეურიგდა კათოლიკოსს, რადგანაც იგი დაესწრო 486 წლის სელევკიის კრებას (ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 160)

¹¹³ Syr. Bēt Huzāyē - ხუზისტანი, სასანიანთა ირანის ერთ-ერთი ოლქი, მდებარეობდა სპარსეთის ყურის ჩრდილოეთით. თანამედროვე ხუზისტანის პროვინცია.

¹¹⁴ Syr. Karkā - მის ეპისკოპოს პავლეზე მითითებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს „ქალაქი“ აღნიშნავს ლედანის კარკას, რომელიც ხუზისტანში (ბეთ ჰუზაიეში) მდებარეობდა.

¹¹⁵ აბრაამ მიდიელი - იგი უნდა იყოს ბეთ მადაიეს (მიდიის) ეპისკოპოსი აბრაამი, ბარსუმა ნიზიბინელის მომხრე, რომელიც საეპისკოპოსოს გარეშე იხსენიება ბარსუმა ნიზიბინელის პირველ წერილში (Chabot, Synodicon orientale, 531. იქვე, შენ. 4; ჩიქოვანი, აღმოსავლეთის

კეთროვანი; ¹¹⁶ ეზელია, ¹¹⁷ კეფარ-მარის მონასტრიდან. ¹¹⁸ ესენი სხვა თანამოღვაწეებთან ერთად იყვნენ ჯიუტი [25v2] მიმდევრები იბას შეხედულებებისა. ¹¹⁹

მაგრამ იქ ასევე იყვნენ სხვები, რომლებიც არ უსმენდნენ იბას, რომელთა სახელებია: უფალი ¹²⁰ პაპა, ბეთ ლაპატიდან, (353) ჰუზიტების ქალაქიდან; ¹²¹ უფალი ქსენაია, ¹²² ბეთ გარმაის თაპალიდან; ¹²³ მისი ძმა, სახელად ადაი; უფალი

ეკლესიის კრებათა ისტორია, 148; ჩვენ ადრე ბარუმას წერილში ნახსენებ აბრაამს შეცდომით ტეპალის ეპისკოპოსად ვთვლიდით, ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 148, შენ. 382) ბეთ მადაიეს ეპისკოპოსი აბრაამი ესწრებოდა 486 წლის სელევკიის კრებას (Chabot, Synodicon orientale, 299; ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 159) და ხელი მოაწერა მის დადგენილებას (Chabot, Synodicon orientale, 1902; 306).

¹¹⁶ ნარსაი კეთროვანი - ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი სირიელი თეოლოგი. იგი სწავლობდა ედესის სკოლაში, ედესის კათედრაზე იბას ასვლის შემდეგ ედესის სკოლის ხელმძღვანელი გახდა. დაახლ. 471 წელს, ედესის ეპისკოპოს კიროსთან უთანხმოებისა და საფრთხის გამო ნარსაიმ დატოვა ქალაქი და სასანიანთა იმპერიას მიაშურა, სადაც მისი მეგობრის, ნიზიბინის მიტროპოლიტ ბარსუმას დახმარებით აღადგინა ნიზიბინის სკოლა. „სიირთის ქრონიკის“ ცნობით, მას 360 mêmra დაუწერია, ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ 80. ვრცლად იხ. Gero, Gero, Barsauma of Nisibis, 60-72.

¹¹⁷ ეზელიას შესახებ არაფერია ცნობილი იმის გარდა, რასაც სიმეონ ბეთ არშამელი გვამცნობს.

¹¹⁸ კეფარ მარის მონასტერი მდებარეობდა ბეთ ზაბდაიში, ტიგროსის დასავლეთ მხარეს მდებარე რეგიონში.

¹¹⁹ Syr. bnay tar'itêh d-ihibā - რაც სიტყვასიტყვით "იბას გონების ძეგლს" ნიშნავს.

¹²⁰ Syr. Mār(y) - უფალი. სიმეონ ბეთ არშამელი იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც მისთვის მართლმადიდებელი ავტორიტეტები არიან, იყენებს მოკრძალებისა და პატივისცემის გამომხატველ ტერმინს.

¹²¹ ბეთ ლაპატი - შაბურ I-ის მიერ ხუზისტანში დაარსებული ქალაქის ვეჰ-ანტიოქ-შაპურის (გუნდიშაპური) სირიული სახელწოდება. რომელიც იდენტიფიცირებულია შაჰაბადის სახელით ცნობილ ნანგრევებთან.

¹²² ქსენაია - ფილოქსენე მახუგელი (გარდ. 523 წ.). მიაფიზიტიური ქრისტოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და დამცველი. სწავლობდა ედესის სკოლაში. ბარ ჰებრეუსის ცნობით, როდესაც ფილოქსენემ გაიგო ედესის სკოლაში მყოფი სპარსელების „დაავადება“ თეოდორესა და დიოდორეს სწავლებებით, ის შეეწინააღმდეგა მათ და სწორედ მისი წაქეზებით მოხდა ედესის სკოლიდან იბა ედესელის თანამოაზრე სპარსელების განდევნა (Bar Hebraeus, The Ecclesiastical Chronicle, 324). როდესაც 485 წელს იმპერატორმა ზენონმა ანტიოქიის ქალკედონიტი პატრიარქი კალანდიონი (479-485) გააძევა და პატრიარქის ტახტზე მიაფიზიტი პეტრე ფულონი დააბრუნა, პეტრემ ფილოქსენე სირიის ქალაქ მახუგას (ჰიერაპოლი) ეპისკოპოსად აკურთხა (Bar Hebraeus, The Ecclesiastical Chronicle, 66). 518 წელს ბიზანტიის იმპერიის ტახტზე ქალკედონიტი იმპერატორი იუსტინე I (518-527) ავიდა, მან ფილოქსენე პაფლაგონიის ქალაქ განგრამი გადასახლა, სადაც ბარ ჰებრაიას ცნობით, კვამლით დაახრჩვეს (Bar Hebraeus, The Ecclesiastical Chronicle, 70).

¹²³ თაპალი - ქალაქი ბეთ გარმაის პროვინციაში. აღმოსავლეთის ეკლესიის ერთ-ერთი საეპისკოპოსო.

ბარადბაბა ქარდუდან,¹²⁴ რომელიც მოგვიანებით აინ ქენის¹²⁵ მონასტრის არქიმანდრიტი¹²⁶ გახდა; უფალი ბენიამინი, არამელი, რომელიც მოგვიანებით არქიმანდრიტი გახდა ქარიტეში, სკოლის მონასტერში,¹²⁷ რომელიც უმრინის იურისდიქციაში იყო, და სხვები, რომლებიც არ იზიარებდნენ იბას შეხედულებას.

იბას სიკვდილის შემდეგ, ედესიდან განდევნეს ყველა სპარსელი, მათ მიმდევარ ედესელ მწერლებთან ერთად. ნეტარ უფალ კიროსის, ედესის ეპისკოპოსის,¹²⁸ გულმოდგინებითა და ზენონის, რომაელთა მეფის,¹²⁹ ბრძანებით, ედესის სკოლა, რომელშიც სპარსელები სწავლობდნენ, ამოიძირკვა¹³⁰ და მის ადგილზე ღვთისმშობელ მარიამის სახელობის ტაძარი ააშენეს.

ედესიდან განდევნილები ჩავიდნენ სპარსელთა მხარეში და **[26r1]** ზოგიერთი მათგანი სპარსელთა ქალაქების ეპისკოპოსი გახდა: აკაკი - ბეთ არამაიეში; ბილწი ბარსუმა - ნიზიბინში; მა'ნე - ბეთ არდაშირში;¹³¹ იოანე - ბეთ გარმაის ქალაქ ბეთ სარიში; მიქე - ბეთ გარმაის ლაშომში; **(354)** პავლე ბარ ქაქაი - ბეთ ჰუზაიეს ქალაქ ლედანში; ფუსი ბარ ქურთი ხუზისთანის ქალაქ შუმტერში; და აბრაამი მიდიელთა შორის; ნარსაი კეთროვანი გახდა მასწავლებელი ნიზიბინში.

და იმ დროიდან, როდესაც ჰუზიტებსა და სპარსელებს სურდათ დაემტკიცებინათ ნესტორისა და თეოდორეს სწავლება, როგორც ეს მიიღეს იბასგან, მათ სპარსეთში მრავალი შეკრება გამართეს: პირველი - ჰუზიტების მეტროპოლია ბეთ ლაპატში¹³² - მეფეთ-მეფე პეროზის 27-ე წელს,¹³³ შემდეგ

¹²⁴ ქარდუ - ბეთ ქარდუ - სირიული სახელწოდება მდინარე ტიგროსის მარცხენა ნაპირზე მდებარე ისტორიული რეგიონის, გორდიენესი. თანამედროვე აღმ. თურქეთში. ბარადბაბას შესახებ არაფერია ცნობილი.

¹²⁵ მისი ადგილმდებარეობა უცნობია.

¹²⁶ Syr. *Rēshdayrā* - სიტყვასიტყვით „მონასტრის ხელმძღვანელი“.

¹²⁷ Syr. *b-gritā d-dayrā d-eskolā* - ეს წინადადება გაურკვეველია, მით უმეტეს, რომ შესაძლოა „gritā“ უბრალოდ სოფელს ნიშნავდეს. გაურკვეველია რას ნიშნავს „სკოლის მონასტერი“ (*dayrā d-eskolā*), განსხვავებით „მონასტრის სკოლისგან“.

¹²⁸ კიროსი, ედესის ეპისკოპოსი 471-498 წლებში. იგი ეწინააღმდეგებოდა ედესის სპარსელთა სკოლის ანტიოქიურ თეოლოგიას.

¹²⁹ ზენონი - აღმოსავლეთ რომის იმპერატორი 474-475 და 476-491 წლებში. საეკლესიო საქმეებში ცნობილი გახდა 482 წელს გამოცემული „ჰენოტიკონით“ (შეერთების წერილი), რომლითაც იმპერატორი მიზნად ისახავდა მიაფიზიტებისა და დიოფიზიტების შერიგებას.

¹³⁰ ედესის სკოლა იმპერატორმა ზენონმა ედესის ეპისკოპოს კიროსის მოწოდებით დახურა 489 წელს.

¹³¹ ბეთ არდაშირის შესახებ იხ. ზემოთ, შენ. 93. ასემანი თარგმნის „Hardasciri“ (Assemani, Bibliotheca Orientalis, 353), გარსოიანი კითხულობს როგორც „Veh ardašir“ (Garsoian, L'Église arménienne, 454), აშკარაა, რომ სიმეონი „ბეთ არდაშირში“ რევ-არდაშირს გულისხმობს. აღმოსავლეთის ეკლესიის კრების აქტებში 485 წლისთვის მა'ნე სწორედ რევ-არდაშირის ეპისკოპოსადაა დასახელებული (ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 159).

¹³² ბეთ ლაპატის კრება ბარსუმა ნიზიბინელის მეთაურობით გაიმართა 484 წლის აპრილში. კრებაზე საზგასმულ-იქნა თეოდორე მოფსუესტელის ჰომილიებისა და კომენტარების ავტორიტეტი (Chabot, Synodicon Orientale, 475-476; ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 134-137)

¹³³ პეროზი სპარსეთში მეფობდა 459-484 წლებში. იგი ტახტზე ავიდა თავის ძმასთან, ჰორმიზდ III-სთან 2-წლიანი (457-459) ომის შემდეგ. პეროზი საკუთარ მეფობას 457

სელევკია-ქტეზიფონში, ბეთ არამაიეს ქალაქში.¹³⁴ და შემდეგ ბეთ ედრაიში, ბეთ ნუჰადრას იურისდიქციის ქვეშ მყოფ ქალაქში.¹³⁵

მათ შექმნეს ახალი რწმენის სხვადასხვა კანონი, განსხვავებული იმისგან, რაც მათ ჰქონდათ და განშორდნენ წმიდა მამების ჭეშმარიტ რწმენას, რომელიც **[26r2]** მათ წმიდა მოციქულებისგან მიიღეს [და] რომელიც სულიწმინდის მეშვეობით ნიკეაში გამოაცხადა 318 ეპისკოპოსმა, რომელთა ჭეშმარიტად მორწმუნე მეფესთან ერთად;¹³⁶ 150 **(355)** ღვთისმოსავი და წმინდა ეპისკოპოსი კონსტანტინოპოლში, იმპერატორ თეოდოსიუს დიდთან ერთად, მიჰყვებოდა [ამ რწმენას],¹³⁷ ისევე, როგორც, 253 ეპისკოპოსი იმპერატორ თეოდოსიუს მცირესთან ერთად ეფესოში;¹³⁸ ასევე, დიდი ალექსანდრიის, სირიის ანტიოქიის, კაბადოკიისა და გალატიის 495 ეპისკოპოსი იმპერატორთან ზენონთან ერთად დაეთანხმნენ [მას] და დაადასტურეს იგი „ჰენოტიკონად“ წოდებულ წიგნში.¹³⁹ მას [ამ რწმენას] დაეთანხმნენ და [იგი] დაადასტურეს ეპისკოპოს მარუთას¹⁴⁰ დროს, რომელიც

წლიდან აითვლიდა, ამგვარად დამკვიდრდა იგი სასანიანთა ირანში და ამ ქრონოლოგიას მიჰყვება სიმეონ ბეთ არშამელიც. ვრცლად იხილეთ: დავით ჩიქოვანი, „ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორია“ და მისი მნიშვნელობა ვახტანგ გორგასლის მეფობის დათარიღებისთვის.“ შუა საუკუნეების კვლევები, N1 (2024), 53-55.

¹³⁴ სელევკია-ქტეზიფონის კრება გაიმართა 486 წლის თებერვალში. მისი პირველი კანონით დაიგმო მიაფიზიტური ქრისტოლოგია, ხოლო ქრისტეს პიროვნების შესახებ გამოყენებულ-იქნა თეოდორე მოფსუსეტელისა და ნესტორის ტერმინოლოგია. კერძოდ, „*par supra* - *Πρόσωπον*“ (ჩიქოვანი, აღმოსავლეთის კრებათა ისტორია, 160-162).

¹³⁵ ბეთ ედრაი - მცირე ქალაქი ალქომის სიახლოვეს, ნიზიბინის გზაზე. ბეთ ედრაის კრების შესახებ წყაროები სხვადასხვა თარიღს გვთავაზობენ: 486 წლის აკაკის კრების აქტებში თარიღად 485 წლის სექტემბერია დასახელებული (ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 146, 159), ხოლო ბარსუმა ნიზიბინელის პირველ წერილში - 485 წლის აგვისტო, (ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 146, 149). შესაძლოა ამ განსხვავების მიზეზი ის იყოს, რომ კრება საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და აგვისტოში დაწყებული კრება სექტემბერში დასრულებულიყო (ჩიქოვანი აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 146, შენ. 368). ბეთ ედრაის კრების შესახებ მცირედი რამ ვიცით, რადგანაც მის მასალებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით, ამ კრებაზე ბარსუმა ნიზიბინელი კათოლიკოს აკაკის შეურიგდა და გააუქმა ბეთ ლაპატის კრებაზე მიღებული დადგენილებები. ვრცლად იხ. ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 144-147.

¹³⁶ იგულისხმება კონსტანტინე დიდის მიერ 325 წელს ნიკეაში მოწვეული I მსოფლიო საეკლესიო კრება.

¹³⁷ იგულისხმება იმპერატორ თეოდოსიუს დიდის მიერ 381 წელს კონსტანტინეპოლში მოწვეული II მსოფლიო საეკლესიო კრება.

¹³⁸ თეოდოსიუს მცირის მიერ 431 წელს ეფესოში მოწვეული III მსოფლიო საეკლესიო კრება.

¹³⁹ იმპერატორ ზენონის (474-475; 476-491) მიერ გამოცემული „ჰენოტიკონი“ (შეერთების წერილი), რომელიც მიზნად ისახავდა მიაფიზიტებისა და დიოფიზიტების შერიგებას. ჰენოტიკონი გმოხდა ნესტორს და ეპტისხის, აღიარებდა კირილე ალექსანდრიელის „12 ანათემას“ და სრულად კრძალავდა ქრისტეს ბუნებაზე საუბარს. საეკლესიო ტერმინოლოგიიდან უნდა ამოეღოთ სიტყვა „ბუნება“ (φύσις) და ფრაზები „ერთი ბუნება“ (μία φύσις) და „ორი ბუნება“ (δύο φύσεις).

¹⁴⁰ ეპისკოპოსი მარუთა - მაიფერკატის (მარტიროპოლის) ეპისკოპოსი მარუთა, რომელიც იმპერატორმა თეოდოსი II-მ 409 წელს ელჩად გაგზავნა ირანის შაჰ იეზდიგერდ I-თან (399-420) (ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 39).

რომაელთა იმპერატორმა¹⁴¹ ელჩად გააგზავნა მეფეთა მეფე იეზდიგერდთან,¹⁴² მისი მეფობის მე-11 წელს,¹⁴³ 40-მა ეპისკოპოსმა, რომლებიც იყვნენ სპარსელთა მმართველობის (356) ქვეშ.¹⁴⁴ ეს [რწმენა], ასევე [მიიღეს] გურზანის მხარის¹⁴⁵ 33 ეპისკოპოსმა, თავიანთ მეფეებთან და დიდებულებთან ერთად,¹⁴⁶ ისევე, როგორც

¹⁴¹ იგულისხმება აღმოსავლეთ რომის იმპერატორი თეოდოსი II მცირე (408-450), რომელმაც 409 წელს ირანის შაჰ იეზდიგერდთან ელჩობა გააგზავნა. ბეკერი შეცდომით გულისხმობს არკადიუსს (Becker, Becker, "The Letter of the Blessed Mār Shem'on," 37, შენ. 110)

¹⁴² ირანის შაჰი იეზდიგერდ I (399-420).

¹⁴³ იეზდიგერდის მეფობის მე-11 წელი დაიწყო იმ წელს, რომელიც დაიწყო 409 წლის 14 აგვისტოს (ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 39).

¹⁴⁴ 410 წელს ეპისკოპოს მარუთასა და სასანიანთა ირანის 40 ეპისკოპოსის მონაწილეობით გაიმართა საეკლესიო კრება. ვრცლად ამ კრების შესახებ იხ. ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია, 39-79.

¹⁴⁵ ხელნაწერში მოცემულია Gurzan (Vat. sir. 135, 26r2), ასემანის ასევე გადმოაქვს იგი ლათინურ თარგმანში (Assemanus, Bibliotheca orientalis, 355) და შენიშვნაში უთითებს რომ აქ იგულისხმება ხორასანი სპარსეთში (Assemanus, Bibliotheca orientalis, 355, შენ. 4). ასევე თვლის ჰაინთალერ (Hainthaler, "Der persische Disputator Simeon von Bet Aršam," 273). ნინა გარსოიანი გურზანს იბერიად განმარტავს (Gurzan [Ibérie] – Garsoïan, L'Église arménienne, 455). ბეკერი მიუთითებს, რომ გურზანი „აღმოსავლეთ იბერიის (საქართველოს) მრავალ სახელწოდებათაგან ერთ-ერთია“ (Becker, "The Letter of the Blessed Mār Shem'on," 37, შენ. 113). შედარებისთვის, სწორედ ასე მოიხსენიება იგი 420 წლის სელევკიის კრების აქტებში (Chabot, Synodicon Orientale, 37), რომლის ფრანგულ ენაზე მთარგმნელი და გამომცემელი ჟ. ბ. შაბო აღნიშნავს, რომ „გურზანი“ „არმენიის რეგიონია, რომლის მთავარი ქალაქი არის თბილისი“ (Chabot, Synodicon Orientale, 672). ხოლო გერმანულ ენაზე მთარგმნელი და გამომცემელი ოსკარ ბრაუნი აღნიშნავს, რომ 420 წლის კრების აქტებში ნახსენები „გურზანი“ არის „ხორძენე არმენიაში, მდინარე მტკვარზე არსებული თანამედროვე თბილისის ტერიტორია“, იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ამავე გურზანის 33 ეპისკოპოსის ანტინესტორიანულ კრებაზე წერს სიმეონ ბეთ არშამელი (Braun, Das Buch der Synhados, 35-36, შენ.9.). დღეს არანაირ ეჭვს არ იწვევს ის, რომ აქ ქართლის სამეფოზეა საუბარი.

¹⁴⁶ ივანე ჯავახიშვილმა ამგვარი ინტერპრეტაცია გაუკეთა აღნიშნულ ცნობას: „ცნობილი ასურელი მონოფიზიტი მოღვაწის სიმეონ ბეთ-არშამელის (VI ს. დამდეგს) სიტყვით, მის დროს ჰენოტიკონი შეიწყნარეს და მის აღსარებას მისდევდნენ ქართლის ეკლესიის 33 ეპისკოპოზი მეფითა და აზნაურებითურთ და სპარსეთის სომხეთის 32 ეპისკოპოზი და მარზპანი“ (ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 301-302); მიქელ თარხნიშვილის დასკვნით, „სიმეონ ბეთ არშამელის ამ მოწმობით ნათელი ხდება, რომ ქართველები და სომხები საერთო ფერხულში ჩაბმულან და სარწმუნოების ნიადაგზე აღმოსავლეთის ეკლესიის წიაღში ჰენოტიკონის დამზავებელ პოლიტიკას მიმხრობიან“ (თარხნიშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 256); ზაზა ალექსიძის შეფასებით: „ღვინის კრებაზე სპარსეთიდან ჩამოსული სირიელი სიმეონ ბეთ-არშამელის ცნობით, ქართლისა და სომხეთის ეკლესიებმა ზენონის „ჰენოტიკონი“ მიიღეს“ (ალექსიძე, მასალები ღვინის კრებისთვის, 162); გიორგი მამულიას სიტყვით, „ღვინის 506 წლის კრების უშუალო მონაწილის სიმეონ ბეთ არშამელის ცნობა, რომლის მიხედვით, სომხეთისა და ქართლის ეკლესიებმა ჰენოტიკონი შეიწყნარეს“ (მამულია, ქართლის ეკლესია, 50; მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძეც იმეორებს ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ ამ აზრს: „ცნობილი ასურელი მონოფიზიტი მოღვაწის სიმეონ ბეთ-არშამელის (VI ს-ის დამდეგს) სიტყვით, მის დროს ჰენოტიკონი შეიწყნარეს და მის აღსარებას მისდევდნენ ქართლის ეკლესიის 33 ეპისკოპოსი მეფითა და აზნაურებითურთ (ჯაფარიძე, ეკლესიის ისტორია, 343). როგორც

სპარსელთა დიდი არმენიის 32 ეპისკოპოსმა **[26v1]** თავიანთ მარზპანებთან ერთად; და დანარჩენმა ორთოდოქსმა ეპისკოპოსებმა და ქრისტიანმა მეფეებმა ჭეშმარიტად მორწმუნე მეფე კონსტანტინედან ნეტარ ანასტასიუსამდე, მიიღეს და დაადასტურეს.

ამიტომ, ყველა ამ ეპისკოპოსმა, თითოეულმა თავის დროს, შეაჩვენა ყველა, ვინც გაბედავს დაწეროს, ასწავლოს ან გადმოსცეს ზემოთ დაწერილისგან განსხვავებული რწმენა, რომელსაც ყველა წმინდა ორთოდოქსული ეკლესია ყველა ადგილზე ინარჩუნებს და აღიარებს. ყველა სპარსელი ამ [რწმენას] ინარჩუნებდა [პეროზის] 27-ე წლამდე,¹⁴⁷ როდესაც სპარსელთა ეპისკოპოსებმა დაარღვიეს ყველა ზემოთხსენებული ეპისკოპოსისა და მეფის ანათემა და ჩამოაყალიბეს მათი [რწმენისგან] განსხვავებული სარწმუნოება, რომელსაც შემოაქვს ოთხება ნაცვლად სამებისა, რომელიც აღიარებს მამას, ძეს და წმიდა სულს, და ორ ბუნებას ქრისტეში.

ამის გამო, ჩვენ გამოვეყავით ნესტორიანელთა ერთობას პეროზ მეფის 27-ე წლიდან ვიდრე დღევანდელ დღემდე და შევაჩვენეთ ისინი. ჩვენ ასევე შევაჩვენებთ მათ და სიმონ მოგვს, მათ პირველ მოძღვარს, **[26v2]** ებიონს, არტემონს, პავლე სამოსატელს, დიოდორეს, **(357)** თეოდორეს, ნესტორს, თეოდორიტეს, იბას და ყველას, ვინც მათ კვალდაკვალ გაჰყვა და ჭეშმარიტების წინააღმდეგ დადგა. მათთან ერთად და მათ მსგავსად ასევე შევაჩვენებთ მანის, მარკიონს, ევტიხის, არიოზს, აპოლინარს, და მათ სწავლებას და ყველას, ვინც მათ მსგავსად ზრახავს და ფიქრობს.

კვლავ ჩვენ შევაჩვენებთ ყველას, ვინც მოვიდა წერილით, კრებით, ქადაგებებით, ლიტურგიკული ჰიმნებითა და გალობებით, უსისხლო მსხვერპლის შეწირვით, წყლის კურთხევით, ნათლისღების მირონცხებით, [და] გაბედა ეთქვა, რომ მუდმივი კავშირისათვის და საცხოვრებლად სრულმა ღმერთმა ჩვენგან აიღო სრული ადამიანი. [ჩვენ შევაჩვენებთ] ყველას, ვინც ჰყოფს და ღვთაებრივ თვისებებს მიაკუთვნებს ღმერთს, მარადიულ ძეს და ადამიანურ თვისებებს, ტანჯვას და სიკვდილს - იესოს, ადამიანს, მადლისმიერ ძეს, და ვინც განიხილავს ორ ძეს, ერთს ბუნებით და მეორეს - მადლით. [ჩვენ შევაჩვენებთ] ყველას, ვინც თქვა ან ამბობს, [რომ] ქრისტეში ჭეშმარიტი და გამოუთქმელი შეერთების შემდეგ, **[27r1]** რომელიც ჭეშმარიტად ორი ბუნებისგან წარმოიშვა, [იყო] ორი ბუნება, მათი თვისებები და მათი მოქმედებები.

(358) ჩვენ შევაჩვენებთ რწმენას, კანონებს და ყველა დანარჩენს, რაც წარმოიშვა აკაკისგან, ბარსუმასგან, ნარსაისგან, და მათი ერეტიკოსი თანამოღვაწეებისგან, ისევე როგორც მათ, ვინც მათ მიჰყვებოდა ან მიჰყვება.

კვლავ, ჩვენ შევაჩვენებთ მარი თაჰალელს,¹⁴⁸ კათოლიკოს ბაბაის მოძღვარს,¹⁴⁹ რომლის დღეებშიც ბეთ არამაიეში გამოჩნდა ეს მარი, პავლე სამოსატელისა და დიოდორეს მიმდევართა ერესის მოძღვარი.

სრული ტექსტის გათვალისწინებით ჩანს, სიმეონ ბეთ არამელის საუბრობს არა ქართლის ეკლესიის მიერ „ჰენოტიკონის“ მიღებაზე, არამედ „ჭეშმარიტი სარწმუნოების“ - მიაფიზიტიზმის აღიარებაზე. ვრცლად იხ. ჩიქოვანი, „სიმეონ ბეთ არამელი“.

¹⁴⁷ ე.ი. 484 წლამდე.

¹⁴⁸ მარი თაჰალელი - მას „მასწავლებლის“ (არაბულად „mallphana“) ზედწოდებით მოიხსენიებს „სიირთის ქრონიკა“, რომლის ცნობითაც, მარი თაჰალელი კათოლიკოს მილას (503-523) აკრიტიკებდა ვერცხლისმოყვარეობისთვის, რის გამოც კათოლიკოსმა იგი

მისგან მიიღო [ეს] სწავლება კათოლიკოსმა ბაბაიმ,¹⁵⁰ ჰორმიზდის შვილმა, რომელიც იყო ბეთ არამაიუს მარზპანის, ზაბერგანის, მდივანი იყო.

ყველა, ვინც არ აღიარებს, რომ მარიამი არის ღვთისმშობელი, ¹⁵¹ შეჩვენებულია.“

დამოწმებული ლიტერატურა - References

1. ალექსიძე, ზაზა. „მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის.“ *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია* N3 (1973): 145-166.
2. არსენი საფარელი, *განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა*. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ. თბილისი: მეცნიერება, 1980.
3. თარხნიშვილი, მიქელ. *საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაბამიდან მე-7 საუკუნის დასასრულამდე*. თბილისი: უნივერსალი, 2014.
4. მამულია, გიორგი. *ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში*. თბილისი: მეცნიერება, 1992.
5. ჩიქოვანი, დავით. *ადმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია IV –V საუკუნეებში (კრებათა აქტები და სხვა მასალები)*. თბილისი: კალმოსანი, 2019.
6. ჩიქოვანი, დავით. „ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორია“ და მისი მნიშვნელობა ვახტანგ გორგასლის მეფობის დათარიღებისთვის.“ *შუა საუკუნეების კვლევები*, N1. (2024): 51-55.
7. ჩიქოვანი, დავით. „სიმეონ ბეთ არმამელი ქართლის ეკლესიის ქრისტოლოგიის შესახებ.“ სტატია წარდგენილი საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“, თბილისი, 8-10 ნოემბერი, 2022 წელი.
8. ჯავახიშვილი, ივანე. *ქართველი ერის ისტორია*, ტ. I. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1951.
9. ჯაფარიძე, მიტროპოლიტი ანანია. *საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია*. თბილისი: ალილო, 2009.

განკვეთა (Scher, *Histoire Nestorienne* 136). XII საუკუნის ნესტორიანი ავტორის, მარი იბნ სულეიმანის ცნობით, შილას ეკლესიის განძეულობა საკუთარი შვილისთვის გადაუცია, რის გამოც მარის კათოლიკოსი გაუკრიტიკებია, საპასუხოდ კი კათოლიკოსს იგი ეკლესიიდან განუკვეთავს (Maris Amri et Slibae, *de patriarchis Nestorianorum commentaria*, trans. Henricus Gismondi (Romae : C. de Luigi, 1899), 6), ხოლო ბარ ებრაიას ცნობით, ელიშამ ბრძანა, რომ მის შემდეგ კათოლიკოსად მისი სიძე, ელიშა დაედგინათ, რასაც შეეწინააღმდეგა მარი. ბარ ებრაია არაფერს გვამცნობს შილას მიერ მარის განკვეთაზე (Bar Hebraeus, *The Ecclesiastical Chronicle*, 332).

¹⁴⁹ Syr. *rabbā*, Vat. sir. 135, 27r1.

¹⁵⁰ კათოლიკოსი ბაბაი - ადმოსავლეთის კათოლიკოსი 497-503 წლებში.

¹⁵¹ Syr. *yāldat alāhā*, Vat. Sir. 135. 27r1. სირიული ექვივალენტი „ღვთისმშობლისა“.

10. Assemanus, Joseph Simonius. *Bibliotheca orientalis clementino-vaticana in qua manuscriptos codices syriacos, arabicos, persicos, turcicos, hebraicos, samaritanos, armenicos, aethiopicos, graecos, aegyptiacos, ibericos et malabricos, jussu et munificentia Clementis XI. pontificis maximi ex oriente conquisitos, comparos, auctos, Bibliothecae Vaticanae addictos: De scriptoribus Syris orthodoxis*. Tomus primus, Pars Prima. Rome: Typis Sacrae Congregationis de Propaganda Fide, 1719.
11. Assemanus, Joseph Simonius. *Bibliotheca orientalis clementino-vaticana in qua manuscriptos codices syriacos, arabicos, persicos, turcicos, hebraicos, samaritanos, armenicos, aethiopicos, graecos, aegyptiacos, ibericos et malabricos, jussu et munificentia Clementis XI. pontificis maximi ex oriente conquisitos, comparos, auctos, Bibliothecae Vaticanae addictos: De scriptoribus Syris orthodoxis*. Tomi Tertii, Pars Prima. Rome: Typis Sacrae Congregationis de Propaganda Fide, 1925.
12. Bar Hebraeus, *The Ecclesiastical Chronicle*, translated by David Wilmshurst. Piscataway: Gorgias Press, 2015.
13. Baum, Wilhelm and Winkler, Dietmar W. *The Church of the East A Concise History*. London: Routledge, 2003.
14. Becker, Adam H. "The Letter of the Blessed Mār Shem'on of Bēt Arsham." In: *Sources for the History of the School of Nisibis*. Translated with an introduction and notes by Adam H. Becker, (gverdebi) Liverpool: Liverpool University Press, 2008.
15. Becker, Adam H. *Fear of God and the Beginning of Wisdom: The School of Nisibis and the Development of Scholastic Culture in Late Antique Mesopotamia*. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 2006.
16. Braun, Oscar. *Das Buch der Synhados ; oder, Synodicon orientale*. Amsterdam: Philo Press, 1900.
17. Chabot, Jean-baptiste, trans., *Chronique de Michel le Syrien*, t. 2. Paris: E. Leroux, 1901.
18. Chabot, Jean-baptiste. *Synodicon orientale ou recueil de synodes nestoriens*. Paris: Imprimerie Nationale, 1902.
19. De Halleux, André. *Philoxène de Mabbog: sa vie, ses écrits, sa théologie*. Louvain: Imprimerie Orientaliste, 1963.
20. Fiey, Jean-Maurice. *Nisibe, métropole syriaque orientale et ses suffragants des origines à nos jours*. Louvain : Secrétariat du CorpusSCO, 1977.
21. Garsoïan, Nina. *L'Église arménienne et le Grand schisme d'Orient*. Louvain: Peeters, 1999.
22. Gero, Stephen. *Barsauma of Nisibis and Persian Christianity in the Fifth Century*. Lovanii, Peeters, 1981.
23. Hainthaler, Theresia. "Der persische Disputator Simeon von Bet Aršam und seine antinestorianische Positionsbestimmung" in: Alois Grillmeier, Jesus der Christus im Glauben der Kirche. Band 2/3. Die Kirchen von Jerusalem und Antiochien nach 451 bis 600. 262-278. Freiburg: Verlag Herder, 2002.
24. Hoffmann, Georg. "Verhandlungen der Kirchenversammlung zu Ephesus am XXII. august CDXLIX aus einer syrischen handschrift vom jahre DXXXV." In: Festschrift Herrn Dr. Justus Olshausen zu seinem fünfzigjährigen Doctorjubiläum am neunundzwanzigsten November MDCCCLXXIII gewidmet von der Universität zu Kiel. Kiel: Druck von C. F. Mohr, 1873.

25. Ibas of Edessa, "Letter to Mari the Persian." In: *The Cambridge Edition of Early Christian Writings*. Vol. 3. Cambridge: Cambridge University Press (2022): 726-730
26. John of Ephesus. *Lives of the Eastern Saints*, *Patrologia Orientalis*. T. 17. Paris: Firmin-Didot et C, Imprimeurs-Editeurs. 1923.
27. Labourt, Jérôme. *Le christianisme dans l'empire perse sous la dynastie sassanide (224-632)*. Paris: Librairie Victor Lecoffre, Bibliothèque de l'enseignement de l'histoire ecclésiastique, 1904.
28. le Beau, Charles. *Histoire du Bas-Empire*. Tome VII. Paris: F. Didot, 1827.
29. Maris Amri et Slibae, *de patriarchis Nestorianorum commentaria*, trans. Henricus Gismondi. Romae : C. de Luigi, 1899.
30. Peeters, Paul. "La Vie de Rabboula, évêque d'Édesse († 7 août 436)." *Recherche de Science Religieuse* vol. 18 (1928): 170-204.
31. Perry. S.G.F. trans. *The Second Synod of Ephesus, together with certain extracts relating to it*, from Syriac MSS. preserved in the British Museum, and now first edited. Dartford: Orient Press, 1881.
32. Price, Richard and Gaddis, Michael. trans., *The Acts of the Council of Chalcedon*. V. 1. Liverpool: Liverpool University Press, 2005.
33. Scher, Addaï. trans. *Histoire Nestorienne (Chronique de Séert, seconde partie, fasc. I)*, *Patrologia Orientalis*. T. 7. Paris : Firmin-Didot et Cie, 1911.
34. Simeon of Beth Arsham. Letter on Bar Sawma and the Heresy of the Nestorians, Translated by Aaron Michael Butts. In: *The Cambridge Edition of Early Christian Writings*: volume 4. Christ: Chalcedon and Beyond. Edited by Mark DelCogliano. Cambridge: Cambridge University Press, 2022.
35. Van Esbroeck, Michel. 'Who is Mari, the addressee of Ibas' letter?', *Journal of Theological Studies*. Ns., 38 (1987): 129-135.
36. Wace, Henry and Piercy William C. edit. *A dictionary of Christian biography and literature to the end of the sixth century A.D., with an account of the principal sects and heresies*. Boston: Little, Brown and Company, 1911.
37. Vat. sir. 135 – "Google Privacy Policy." Last modified March 11, 2009. https://digi.vatlib.it/view/MSS_Vat.sir.135